ეკონომიკა ბოლოს, „ეროვნული" ერთი

ვერსია

ფასი 50 თეთრი

№11 (1037) 2 – 3 თებერვალი, 2015 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

წერილი, რომელიც ყველა რუსეთუმე ქართველმა უნდა წაიკითხოს!

გვ. 9

უკრაინელი სეპარატისტი ქალი, რომელიც პუტინს შველას სთხოვდა, პუტინის ჭურვმა იმსხვერპლა!

ნათია ფანჯიკიძე: „ირაკლის ვერ დაიჭერენ!"

გვ. 4–5

რა თემაზე არ უყვარს ღაპარაკი მწერლის ფსიქოლოგ ქალიშვილს

არა-ჩვეულებრივი ინტერვიუ

გედევან ფოფხაძე: უნდა საზოგადოებას ახალი პარლამენტი? – უნდა უზრუნველვყოთ!

„ვიცი, ადამიანები, ვინც სტრუქტურაში ნაცების დროს მუშაობდნენ, ახლაც იქ არიან, მაგრამ ეს არაფერს ცვლის!"

გვ. 3

„ის ხალხი, ვინც ეკონომიკური მიმართულების თანამდებობები დატოვა, ინვესტორებს ხელს უშლიდა!"

დავით ონოფრიშვილის სკანდალური განცხადება – რა გავლენას მოახდენს ეკონომიკაზე ვადამდელი არჩევნები

გვ. 6

რატომ გააუპატიურა მკვლელმა „პადძელნიკი"

გვ. 8

პენიტენციური დღიური

შავი სათვალით მევლუდი და ივანე

გვ. 2

ვახტანგ ბუცხრიკიძემ თიბისი ბანკი TBC BANK-ის 2014 წლის შედეგები შეაჯამა

გვ. 7

თბილისში ნატალია კვანტალიანის ქართულ-ჰოლანდიური კლინიკა იხსნება

გვ. 7

მევლუდი და ივანე

ლევან სეფისკვერაძე

მევლუდი და ივანე მეზობლები არიან. ერთ სოფელში, გვერდიგვერდ მდგარ სახლებში დაიბადნენ, გაიზარდნენ, მოხუცდნენ და იქვე აპირებენ სიკვდილს. ქვემოთ, ჭალისპირას ვენახებიც გვერდიგვერდ აქვთ და, როგორც მათი ავყია მეზობლები ხუმრობენ, მევლუდის და ივანეს შვილებიც კი ერთმანეთს დაემსგავსნენ.

მევლუდი და ივანე სკოლაშიც ერთად დადიოდნენ, ერთად აბოლებდნენ მამებისათვის აწაპნილ გლეხურ თუთუნს, ერთად იზუთხავდნენ საბჭოთა ისტორიის უინტერესო და საძაგელ პასაჟებს, ერთად დათვრნენ პირველად მერვე კლასში და ერთი თანაკლასელი გოგონა უყვარდა ორივეს.

ახლა კი, როდესაც ორივემ 50 წელს კარგა ხანია გადააბიჯა, ყველა ხედავს, რომ მათ შორის მთავარი განსხვავება მაინც ისაა, რომ მევლუდი შეძლებული გლეხია, ივანე კი მაჩანჩალათა კატეგორიაში გადის მიუხედავად იმისა, რომ მათი საყანე მიწაც, ვენახიც და გარემო პირობებიც იდენტურია.

აქ მთავარი ისაა, რომ მევლუდს არ აინტერესებს პოლიტიკა, არ უყურებს საინფორმაციო გამოშვებებს, არასოდეს ყოფილა არც ერთ მიტინგზე, მაშინ როდესაც ივანემ აგერ, უკვე მეშვიდე პარტია გამოიცვალა და მის სახლში ჭეშმარიტი სააგიტაციო ცენტრი აქვთ მოწყობილი ათასი ჯურის უსაქმურებსა და მოცლილებს.

მაშინ, როდესაც მევლუდი პაპანაქება სიცხეში ვენახში დადის და ზურგზე შაბიამნის აპარატაკიდებული ვაზს წამლავს, ივანესთან დამსხდარან „ერის ტკივილზე გულდათუთქულნი“ და აწყობენ ათასგვარ გეგმებს, თუ როგორ უნდა ამოიყვანონ ქვეყანა „ამ ვაგლახიდან“. ისინიც ივანესავით დაუდეგარი და მრავალპარტიაგამოცვლილი ხალხია და მათ ყველა იცნობს, რადგან ყველა არჩევნებზე სხვადასხვა პარტიისა თუ ბლოკის ბიულეტენებსა და პლაკატებს ავრცელებენ დანარჩენი სხვა ყველა პარტიის კრულვის თანხლებით.

როდესაც საარჩევნო მარათონია, ანდა არჩევნების წინა პერიოდი, ივანეს ოჯახს სახსარი უჩნდება, მისი ცოლი სულ უფრო ხშირად სტუმრობს ზედა უბანში გახსნილ ახალ მაღაზიას, მაგრამ თუკი არჩევნებამდე შორია და ქვეყანაში დროშების ფრიალითა და წივილ-კივილით არ დადიან, ივანე იძულებულია, გადააბიჯოს საკუთარ თავსა და თავმოყვარეობას და მევლუდს მიადგეს ცოტა ხორბლის, სიმინდისა თუ ღვინის სასესხებლად.

მაშინ, როდესაც მევლუდი ყანასა თუ ვენახში ათენ-აღამებდა, მისი კარის მეზობელს, უბრალოდ, არ ეცალა ამ ყველაფრისთვის და კრილოვის ერთი ცნობილი იგავ-არაკისა არ იყოს, როცა აცივდა და შიმშილმაც თავისი მსახვრალი ძალა გამოაჩინა, მხოლოდ მაშინღა შეაღო ივანემ მევლუდის ჭიშკარი ერთ ხელში ღვინის ცარიელი ტიკით და მეორეში — საფქვილე ქვაბით. სახლში სტუმრები ჰყავდა და რა ექნა?..

ახლა, წესით, უნდა მივყვეთ მორალისტურ, არაფრისმომცემ ღაღადს და ავხსნათ, თუ რატომაა ცუდი უსაქმურობა და პოლიტიკოსების ხელშემყურე ცხოვრება და რატომაა გარჯა და ოფლისდენა კარგი და ფასეული, მაგრამ ყველაფერი ეს ჩემზე კარგად სხვებმა თქვეს და დაწერეს. იმის თქმა კი ძალიან მინდა, რომ ეს ჩვენი ცაფირუზხმელეთზურმუხტოვანი ქვეყანა გაივსო ივანესნაირი ხალხით და გულსატკენი ისაა, რომ მათი სახელი უფრო ხშირად გვესმის, ვიდრე — გამრჯე, თავისი საქმის კარგად მაკეთებელი ადამიანებისა, რომლებიც ხელისუფლებს მხოლოდ იმას სთხოვენ, რომ ნაკლებად აფათურონ ხელები მათ ტვინსა და ქონებაში, თორემ მათ „უ(მ)ფროსებისგან“ კარგა ხანია, არაფერი უნდათ და არც არაფერს მოელიან.

შსს-ს მომსახურების სააგენტოს წარმომადგენლები ევროპელ ექსპერტებს შეხვდნენ

შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს თანამშრომლებისთვის ტექნიკური დახმარებისა და ინფორმაციის გაცვლითი პროგრამა „ტაიექსის“ (TAIEX) და მძღოლთა ტესტირების საერთაშორისო კომიტეტ „საიეკას“ (CIECA) ექსპერტებმა სასტუმრო „ამბასადორში“ სამუშაო შეხვედრა გამართეს.

ღონისძიება მომსახურების სააგენტოს დირექტორმა ზურაბ ზუბადალაშვილმა გახსნა და სტუმრებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა. სააგენტოს წარმომადგენლებმა წარმოადგინეს პრეზენტაცია საქართველოში მართვის მოწმობის გაცემასთან დაკავშირებული პროცედურების შესახებ და ევროპელ ექსპერტებს ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდეს.

შეხვედრაზე უცხოელმა ექსპერტებმა თავის მხრივ ქართულ მხარეს მართვის მოწმობის გაცემის პროცედურების შესახებ საერთაშორისო და ევროპული გამოცდილება გაუზიარეს. მათ ასევე ისაუბრეს მძღოლთა ტესტირების თანამედროვე მეთოდებზე, რომელიც მომავალში დაინერგება.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს თანამშრომლები ყოველდღიურად რამდენიმე ასეულ მოქალაქეს ემსახურებიან. მომხმარებელზე მაქსიმალურად ორიენტირებული სისტემის უზრუნველსაყოფად ისინი მუდმივად გადიან სხვადასხვა ხასიათის პროფესიულ გადამზადებას.

„ვერსიანიუსი“

ტრეფიკინგში ბრალდებულს 14 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა

ბათუმის საქალაქო სასამართლომ არასრულწლოვანით ვაჭრობისთვის ბრალდებულის, ყირგიზეთის რესპუბლიკის მოქალაქე ნასიბახონ აბდულლაევას საქმის არსებითი განხილვა დაასრულა.

ნასიბახონ აბდულლაევას ბრალი ედებოდა ყირგიზეთის რესპუბლიკის მოქალაქეების, მათ შორის არასრულწლოვანის უ.ა.-ს მიმართ ტრეფიკინგის განხორციელებაში.

პროკურატურის ცნობით, მას ბრალდება წარდგენილი ჰქონდა საქართველოს სსკ-ს 143 მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და მესამე ნაწილის „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებით და საქართველოს სსკ-ს 143 1 მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მესამე ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით.

„ნ. აბდულლაევამ 2013 წლის აპრილში, მაღალანაზღაურებად სამსახურში დასაქმების დაპირებით, ყირგიზეთიდან ქ. ბათუმში ჩაიყვანა არასრულწლოვანი უ.ა, რომელსაც ჩამოართვა პასპორტი, შეუზღუდა თავისუფლად გადაადგილების უფლება და ფიზიკური ანგარიშსწორების მუქარით და ძალადობით ახორციელებდა დაზარალებულის სექსუალურ ექსპლუატაციას“, — აცხადებენ პროკურატურაში.

მათივე ცნობით, 2015 წლის 31 იანვარს, ბათუმის საქალაქო სასამართლომ არასრულწლოვანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ფაქტზე ნასიბახონ აბდულლაევა მთლიანად სცნო დამნაშავედ და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143 მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და მესამე ნაწილის „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის სასჯელის სახედ განუსაზღვრა 14 წლით თავისუფლების აღკვეთა.

„ინტერპრესნიუსი“

ხვალ პარლამენტის საგაზაფხულო სესია გაიხსნება

რეგლამენტის თანახმად, პარლამენტის საგაზაფხულო სესია თებერვლის პირველ სამშაბათს იხსნება. საგაზაფხულო სესია 3 თებერვალს ბიუროს სხდომით გაიხსნება. არსებული ინფორმაციით, მომავალ კვირასვე გაიმართება პარლამენტის პლენარული სხდომები.

უკვე ცნობილია ის რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი, რაზეც პარლამენტს საგაზაფხულო სესიის განმავლობაში მსჯელობა და გადაწყვეტილების მიღება მოუწევს – დღის წესრიგში დგას რამდენიმე საკადრო გადაწყვეტილება, რომელიც ცესკო-ს ვაკანტურ ადგილებზე ასარჩევ პირებსა და საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეს ეხება. პარლამენტი, სავარაუდოდ, სწორედ საგაზაფხულო სესიის განმავლობაში აირჩევს უზენაესი სასამართლოს ახალ თავმჯდომარეს და მასთან ერთად, ორ მოსამართლეს.

რაც შეეხება კანონპროექტებს, პარლამენტში განსახილველად წარდგენილია 41 პროექტისგან შემდგარი პაკეტი, რომელიც პენიტენციური სისტემის რეფორმირებას ითვალისწინებს. დღის წესრიგში დგას ახალი საკანონმდებლო რეგულაციების მიღების საკითხი, რომელიც უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების ყიდვას ეხება. სავარაუდოდ, ხმაურიანი განხილვები გაგრძელდება სატელევიზიო რეკლამასთან დაკავშირებით ინიცირებული პროექტის გარშემო.

გარდა ამისა, პარლამენტში ყოველწლიური ანგარიშით პრეზიდენტი მივა. წინასწარი ინფორმაციით, გიორგი მარგველაშვილს 18-20 თებერვალს მოუსმენენ.

„ინტერპრესნიუსი“

კონსტანტინე ქავთარაძე და მალხაზ მიქელაძე ელჩის თანამდებობას დატოვებენ

შვედეთსა და ფინეთში საქართველოს ელჩი კონსტანტინე ქავთარაძე და მექსიკაში საქართველოს ელჩი მალხაზ მიქელაძე თანამდებობებს დატოვებენ. მთავრობის განკარგულებით, მალხაზ მიქელაძის მექსიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ საქართველოს პრეზიდენტისთვის წინადადების წარდგენის თაობაზე შესაბამისი განკარგულება მთავრობამ უკვე გამოსცა.

ასევე, პოსტს დატოვებს შვედეთის სამეფოსა და ფინეთის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი კონსტანტინე ქავთარაძე.

მალხაზ მიქელაძე საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად მექსიკაში 2010 წლის დეკემბერში დაინიშნა. კონსტანტინე ქავთარაძე კი შვედეთის სამეფოსა და ფინეთის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის ფუნქციას 2011 წლის ივნისიდან დღემდე ახორციელებს.

დააკმაყოფილებს თუ არა მთავრობის წარდგინებას ელჩების გათავისუფლების თაობაზე საქართველოს პრეზიდენტი, მომავალ კვირას გახდება ცნობილი.

საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ელჩებს როტაციის ვადა ამოეწურათ და სამშობლოში დაბრუნება ისურვეს. რამდენიმე სხვა ელჩს კი, რომლებსაც ასევე ამოეწურათ როტაციის ვადა, იგი 6 თვით ან 1 წლით გაუგრძელდა.

„ორივე ელჩს – კონსტანტინე ქავთარაძესა და მალხაზ მიქელაძეს ადგილსამყოფელ ქვეყანაში როტაციის ოთხწლიანი ვადა ამოეწურა და როგორც წესი, ასეთ შემთხვევაში, ჩვენი შესაბამისი განაცხადის საფუძველზე, პრეზიდენტის მიერ იწერება მათი გათავისუფლების შესახებ ბრძანება. ასევე, მიმდინარე წელს რამდენიმე ელჩს ამოეწურა როტაციის ვადა, მაგრამ მათივე თანხმობით, ზოგ შემთხვევაში — 1 წლით, ზოგ შემთხვევაში კი 6 თვით როტაციის ვადა გაგრძელდა. რაც შეეხება ამ ორ კონკრეტულ ელჩს, მათ საქართველოში დაბრუნება ისურვეს და შესაბამისად, როტაციის ამოწურვის გამო შედგა გათავისუფლების ბრძანება, რაც ჩვეულებრივი პროცედურაა“, — განმარტავენ საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესისა და კომუნიკაციის დეპარტამენტში.

უწყებაში ჯერჯერობით ვერ აკონკრეტებენ, კონსტანტინე ქავთარაძე და მალხაზ მიქელაძე სამინისტროს ცენტრალურ აპარატში განაგრძობენ მუშაობას თუ სხვა ქვეყნებში დაინიშნებიან ელჩებად.

„ინტერპრესნიუსი“

გედევან ფოფხაძე: „უნდა საზოგადოებას ახალი პარლამენტი? — უნდა უზრუნველვყოთ!“

„ვიცი, ადამიანები, ვინც სტრუქტურაში ნაცების დროს მუშაობდნენ, ახლაც იქ არიან, მაგრამ ეს არაფერს ცვლის!“

ნინო კომახიძე
599-95-33-16

31 იანვარს, საქართველოს პატრიოტთა ალიანსმა რუსთაველზე საპროტესტო აქცია გამართა... მოგვიანებით, აქციის მონაწილეებმა, რომელთა შორის ემზარ კვიციანიც იყო, პარლამენტისკენ გადაინაცვლეს და მთავარი მოთხოვნებიც გააჟღერეს — ძალოვანი სტრუქტურების „ზონდერი“ ნაციონალებისგან გაწმენდა, დამნაშავეების დასჯა, სამართლიანობის აღდგენა. უფრო კონკრეტული და საინტერესო მოთხოვნებით ხელისუფლებას პარტიის გენმდივანმა, ირმა ინაშვილმა მიმართა: „არანაირი კოჰაბიტაცია — ყველა დამნაშავე ციხეში! წინა ხელისუფლების პირობებში, სიცოცხლეს 146 ახალგაზრდა გამოასალმეს. ახლახან, საკუთარი შვილის საფლავზე ააფეთქეს იური ვაზაგაშვილი. ამ ხელისუფლებამ კი ზურაბ ადეიშვილი გაუშვა, სააკაშვილი გაუშვა, ზოდელავა თბილისის ქუჩებში თავისუფლად დადის. ეს ადამიანები დამნაშავეები არიან და მათზე არაერთი კომპრომატი დევს. კიდევ ერთხელ მივმართავ ხელისუფლებას კითხვით: რატომ გაუშვით დამნაშავეები?.. ვიწყებთ იმ პირების გამოვლენას, რომლებიც ანტიტერორისტულ ცენტრში, კონტრდაზვერვის სამსახურში, შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა დეპარტამენტში არიან მოკალათებულნი! ვინ ნიშნავს ამ ხალხს თანამდებობებზე, რატომ უგდებს „ოცნება“ მათ ხელში მთავარ ბერკეტებს?!“ ინაშვილის კითხვებზე ხელისუფლებიდან პასუხი, ცხადია, არავის გაუცია... აქცია ულტიმატუმისმაგვარი განცხადებით დასრულდა, თუ ჩვენი მოთხოვნები არ შესრულდება, მარტიდან რეგიონებში პერმანენტულ აქციებს დავიწყებთო... „ვერსია“ ხელისუფლების პოზიციის მოსასმენად კოალიციისა და პარტია „ოცნების“ ერთ-ერთ ლიდერს, ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გედევან ფოფხაძეს დაუკავშირდა.

— აქციის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ერთის თქმა შემიძლია: თუ არსებობს საფუძვლიანი ინფორმაცია, რომ უშიშროებაში ვიღაც ისეთი მუშაობს, ვინც სისხლის სამართლის დანაშაული ჩაიდინა, რეაგირება უნდა მოჰყვეს. ასეთ თემებზე აქციებიც რომ არ დაიწყოს, ხელისუფლებას ადეკვატური რეაქცია უნდა ჰქონდეს. სხვა მხრივ, აქციაზე გამოთქმულ რაღაც მოთხოვნაზე, მით უმეტეს, ულტიმატუმზე, რეაგირება სავალდებულო ნამდვილად არ არის. პოლიტიკურმა ძალამ, რომელსაც თავისი პოზიცია აქვს, ჩვეულებრივი აქცია ჩაატარა — ესაა და ეს. ვფიქრობ, მიტინგზე კონკრეტული პოლიტიკური საკითხები საერთოდ არ უნდა წყდებოდეს — ეს არასოდეს მომწონდა. თუ ვინმე დამნაშავეა, ეს სამართლებრივი ფორმით უნდა დადასტურდეს და არა აქციით.

— აქციის მთავარი მოთხოვნა სამართლიანობის აღდგენა და დამნაშავეების დასჯა იყო; ასევე იმ მოსამართლეების დათხოვნა, ვინც გახმაურებულ საქმეებზე არასწორი განაჩენი გამოიტანა.

— თუ დადასტურდება, რომ ცალკეული მოსამართლეების გადაწყვეტილებები არასწორი, პოლიტიკურად მოტივირებული და დანაშაულებრივი იყო, სახელმწიფოს მხრიდან სამართლებრივი რეაგირება მართლაც უნდა მოჰყვეს, თუმცა ეს პროცესი სამართლებრივ ჩარჩოში უნდა მოექცეს. შეიძლება, ბევრი მოსამართლე არც მე მომწონს, მაგრამ სამართლებრივი ჩარჩოების დაცვა მაინც აუცილებელია.

— სწორედ ამას გეკითხებით: სამართლებრივად, ეს პროცესი როგორ წარმოგიდგენიათ?

— ნაციონალებმა ხალხი რომშეკრიბონ და მიტინგი მოაწყონ, ვინმე პოლიტიკიდან წავიდეს, რადგან ცუდი ძალაა და არ მოგვწონსო. ეს მოთხოვნა უნდა შევასრულოთ?! თუ მოთხოვნა სამართლიანია, შესაბამისი საფუძველიც უნდა ჰქონდეს. მიტინგზე ემოციური გამოსვლა პოლიტიკურ გადაწყვეტილებად და რეალობად ვერ იქცევა, თუმცა ამ აქციის მიმართ ისეთი დამოკიდებულება სულაც არ მაქვს, მერე რა, რომ ხალხი შეიკრიბა და რაღაც სისულელეს ითხოვდა-მეთქი. ეს დემოკრატიული პროცესია. მთავარია, არსებობდეს მტკიცებულებები სისხლის სამართლის დანაშაულზე და რეაგირებაც ამ შემთხვევაში იქნება. არასწორი იქნება, ვთქვა, არიქა, ხალხი შეიკრიბა, რაღაცას ითხოვს და შევასრულოთ-მეთქი. ქუჩის დემოკრატიის მომხრე არც ვყოფილვარ და არც ვიქნები.

— აქციის ორგანიზატორების თქმით, იმ დამნაშავე ნაციონალების გვარები იციან, ვინც შსს-სა და სხვა სტრუქტურებში დღემდე მუშაობენ. რამეს არც ეს ინფორმაცია ნიშნავს?

— ამ გვარებს მტკიცებულებები უნდა ერთვოდეს. ასე, მეც ვიცი ასეთი ადამიანები, ვინც სტრუქტურაში ნაცების დროს მუშაობდნენ და ახლაც იქ არიან. მეც მაქვს მათთან ადამიანური პრეტენზიები, მაგრამ ეს არაფერს ცვლის!

— კი მაგრამ, თუ იცით, ვინ არიან და მათთან პრეტენზიები გაქვთ, ამის დამტკიცებას რაღა უნდა?

— სწორედ ამაშია განსხვავება — მე ამ ადამიანებთან მორალური პრეტენზია მაქვს, მაგრამ მორალის გამო, სამსახურიდან გაშვების საკითხს ვერ დავაყენებ. ნაციონალების დროს ინსტიტუციები პოლიტიზებული იყო, ეს მორალურად გაუმართლებელია, მაგრამ ახლა რა ვქნა, ამის გამო პასუხი მთელ ინსტიტუციას ვაგებინო?! გვარების დასახელების შემთხვევაში, ამ ადამიანების გაშვებაშიც არ მივიღებ მონაწილეობას, რადგან უფლებამოსილება არ გამაჩნია.

— აქციაზე ითქვა, რომ მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მარტიდან რეგიონებშიც მასშტაბური გამოსვლები დაიწყება. ეს ვადამდელი არჩევნების წინაპირობა ხომ არ გახდება?

— ზოგადად, აქციები და პროტესტის თავისუფლად გამოხატვა დემოკრატიის ნაწილია. ვარდების რევოლუციის დროსაც მიმაჩნდა, რომ პოლიტიკური პროცესი ქუჩიდან არ უნდა იცვლებოდეს. ამ შემთხვევაში, ხალხი შეიკრიბა და ის გააპროტესტა, რაც არ მოსწონს, რაც ჩემთვის სავსებით მისაღებია. ამ აქციის საერთო განწყობას რომ ვეთანხმებოდე, მისი მონაწილეც ვიქნებოდი.

— გასაგებია, მაგრამ ნაციონალებისთვის მოსვლიდან 2 წელში აქციები არ მოუწყვიათ. ამიტომ გეკითხებით, წყალი ხომ არ შეგიდგათ?

— აქციას როდის მოუწყობდნენ ნაციონალებს, ეს მარტო იმაზე არ იყო დამოკიდებული, იყვნენ თუ არა ისინი სამართლიანები, თუმცა ამ პოლიტიკურ ძალასთან პრეტენზიები მოსვლის პირველივე დღიდან მქონდა.

— შეიძლება, მაგრამ მათთვის აქცია არ მოგიწყვიათ!

— ჩვენ იმის რესურსი არ გვქონია, აქცია მოგვეწყო.

— ინაშვილს აქვს რესურსი? ისე, ამბობენ, პატრიოტთა ალიანსს სწორედ „ქართული ოცნება“ აფინანსებს. რა გამოდის — აქციას ნაციონალებს არ უწყობდით და ახლა საკუთარი რესურსით საკუთარ თავს უწყობთ?

— ჯერ ერთი, მგონი, თავისუფალი რესურსი ახლა უფროა ქვეყანაში, ვიდრე ნაციონალების დროს იყო. რაც შეეხება „ოცნებისა“ და პატრიოტთა ალიანსის ურთიერთობას, ასეთი თეორიების შემფასებლად არ გამოვდგები. ლოგიკურად, ამ ხმის გავრცელება იმას აწყობს, ვისაც ირმა ინაშვილის პოლიტიკური ძალა ამომრჩეველს ეცილება. „ოცნებას“ რომ ამ პარტიის დაფინანსება აწყობდეს, მსგავსი სოციალური და პოლიტიკური შეხედულებები უნდა გვქონდეს, განსხვავებული პარტიის დაფინანსება რაში უნდა მაწყობდეს?! საზოგადოებაში არის რაღაც მოთხოვნა, რომელსაც თავისი გამჟღერებელი ჰყავს. ეს აბსოლუტურად დამოუკიდებელი პოლიტიკური პროცესია. ვინმეს დადანაშაულება, რომ ამ პროცესს ხელოვნურად ქმნის, არასწორია. ასე რომ, თქვენს მიერ ჩამოყალიბებულ თეორიას არ ვიზიარებ.

— კითხვაზე არ მიპასუხეთ: ოპოზიციის დიდი ნაწილი ვადამდელ არჩევნებს ითხოვს და ამბობს, რომ ხალხშიც იგივე განწყობაა. ეს აქციები ვადამდელი არჩევნების წინაპირობა ხომ არაა?

— თუ ვადამდელი არჩევნები ხალხისთვის იმის გარანტიაა, რომ მომავალი პარლამენტი უფრო სანდო იქნება, მაშინ ჩატარდეს ვადამდელი არჩევნები, პრობლემას ვერც ამაში ვხედავ. ზოგადად, რიგგარეშე არჩევნები პოლიტიკური კრიზისის დროს ინიშნება, ხალხის ქუჩაში გამოსვლა კი კრიზისს სულაც არ ნიშნავს. თუ რიგგარეშე არჩევნების დანიშვნა ქვეყანაში შექმნილი გამოუვალი პოლიტიკური ან სოციალური მდგომარეობის განმუხტვის საშუალებაა, ეს ნაბიჯი ამ შემთხვევაშია გამართლებული. უნდა საზოგადოებას ახალი პარლამენტი?

— მაშინ ესეც უნდა უზრუნველვყოთ, თუმცა ეს ერთი, ან ორი პოლიტიკური ძალის გადასაწყვეტი კი არა, საზოგადოებრივი შეთანხმების საგანია.

— რამდენი ადამიანი უნდა გამოვიდეს ქუჩაში, ეს მოთხოვნა რომ შეასრულოთ?

— ამ მიზნის მისაღწევად ხალხის პროვოცირება არასწორია. თუ ვინმეს სურს, რომ პოლიტიკური შედეგის ამ გზით მიღწევა კარგია, ვერ დავეთანხმები. სასურველია, არჩევნების კონსტიტუციური ვადები დავიცვათ, მაგრამ თუ ამით ქვეყანაში პოლიტიკური კლიმატი გაჯანსაღდება, პრობლემას მართლა ვერ ვხედავ.

შსს-მ დიდი ოდენობით „ექსტაზი“ და უკანონო იარაღი ამოიღო

შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს ისანი-სამგორის სამმართველოს მეთერთმეტე განყოფილების თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული სამძებრო-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1957 წელს დაბადებული, თურქეთის მოქალაქე ჯენგიზ ქ. დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით თბილისში, აწყურის ქუჩაზე დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას 28 აბი „ექსტაზი“ ამოიღეს, რომელიც, ექსპერტიზის დასკვნით, 0,8558 გრ ნარკოტიკულ ნივთიერება 3,4-მეთილენდიოქსიმეტამფეტამინს შეიცავს.

ნარკოლოგიური შემოწმებით დაკავებულს მარიხუანის მოხმარების ფაქტი დაუდგინდა.

გამოძიება დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით).

ამასთან, შსს-ს სამცხე-ჯავახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ბორჯომის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1963 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი გიორგი ბ. ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ბრალდებით ბორჯომში დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას გლუვლულიანი სანადირო თოფი 81 საბრძოლო ვაზნით, „ვალტერის“ სისტემის პისტოლეტი 1 მჭიდითა და 4 საბრძოლო ვაზნით ამოიღეს.

გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით).

„ვერსიანიუსი“

პოლიციამ ქურდობის ფაქტზე ერთი პირი ამხილა

შსს-ს სამცხე-ჯავახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ადიგენის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1982 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი რევაზ ს. ქურდობის ფაქტზე ამხილეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ რევაზ ს-მ ადიგენის რაიონის სოფელ ვარხანში გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის სამცხე-ჯავახეთის სამსახურის მიერ კონტროლირებადი ტერიტორიიდან, 5 მეტრი სიგრძის, 44 ცალი დასაწყობებული ნაძვის ხის სამასალე მერქანი მოიპარა, რომლის ნაწილიც იქვე მდებარე ხის გადამამუშავებელ სახერხ საამქროში გადაამუშავა. სამართალდამცველებმა მოპარული ხის მორები ნივთმტკიცებად ამოიღეს.

გამოძიება ქურდობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 177-ე მუხლის 1-ლი ნაწილით).

„ვერსიანიუსი“

სამტრედიის ტყეში მამაკაცის გვამი იპოვეს

სამტრედიის რაიონში, ტყეში გარდაცვლილი მამაკაცი იპოვეს. აღნიშნული ინფორმაცია „ინტერპრესნიუსს“ შსს-ში დაუდასტურეს. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, სოფელ მელაურის საძოვრებზე ცხოველების მიერ დასახიჩრებული მამაკაცის გვამია აღმოჩენილი.

შსს-ს ცნობით, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით დაიწყო, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

გარდაცვლილი მამაკაცი დაახლოებით 40 წლამდე ასაკისაა.

„ინტერპრესნიუსი“

ვანო პავლიაშვილი

ნათია ფანჯიკიძე: „ირაკლის ვერ დაიჭერენ!“

რა თემაზე არ უყვარს ღაპარაკი მწერლის ფსიქოლოგ ქალიშვილს

...ამას წინათ, ერთმა მეგობარმა მითხრა, შენი მშურსო. დავიბენი, რა გშურს-მეთქი. რა და — ნათია ფანჯიკიძესთან რომ მეგობრობო... გამეცინა და დავპირდი, გაგაცნობ-მეთქი, მაგრამ ისე გამოვიდა, ნათიასთან მისვლა მარტოს მომიწია... დიახ, არ ვმალავ: ნათიასთან ჯერ კიდევ იმ დროიდან ვმეგობრობ, როცა პოლიტიკურ არენაზე „ოცნება“ ბუზისტოლადაც არ ჩანდა. საერთოდ, არ მეგულება ადამიანი, ნათია გაიცნოს და მასთან მეგობრობის სურვილი არ გაუჩნდეს... არა-ჩვეულებრივი ინტერვიუს ამ შესავალს რომ წაიკითხავს, ვიცი, მეტყვის, სუბიექტური ხარო, მაგრამ სუბიექტური კი არ ვარ, იმას ვამბობ, რაც არის... მოკლედ, ტრადიცია არც ამჯერად დავარღვიე და ირაკლი ალასანიას მეუღლეს, გურამ ფანჯიკიძის ნაბოლარა ქალიშვილს, ფსიქოლოგ ნათია ფანჯიკიძეს ფსიქორეაბილიტაციის ცენტრ „კამარაში“ ვესტუმრე. ნათიამ პაციენტთა ნამუშევრები დამათვალიერებინა და მითხრა, 16 თებერვალს გამოფენას ვხსნითო. მერე ყავა მოადუღა და... მუსაიფს შევყევით...

— ნათია, წლებია, გიცნობ. ამ ხნის განმავლობაში უამრავი რამ მოხდა, მაგრამ არ იცვლები: უწინდებურად ენერგიული ხარ, ქოთქოთებ, ფუსფუსებ... არ იღლები?

— ბებიაჩემი, ტასიკო ამბობდა ხოლმე, დასვენება კუბოშიო. ვიდრე ცოცხალი ხარ, ენერგია, სასურველია, სასარგებლოდ დახარჯო, მით უმეტეს, თუკი ეს ენერგია შემოქმედებითია ანუ სხვასაც არგებს... ცხოვრებაც ესაა...

— მახსოვს, თავდაპირველად, „კამარაში“ 20-მდე პაციენტი იყო. ახლა რამდენია?

— ბევრი...

— ვიცი, ამ ბევრ პაციენტს ნათიას იმედი აქვს. გყავს ადამიანი, ვინც შენთვის ნათიას ფუნქციას ასრულებს ანუ ვისთანაც ისვენებ, რჩევას ეკითხები...

— ერთი კონკრეტული კი არა, ყველა ჩემი დასაყრდენია! ვანო, მაგალითად, შენ — როგორც კარგი ჟურნალისტი, მეგობარი და კეთილგანწყობილი ადამიანი, ჩემთვის საიმედო და მშვიდი გარემო ხარ...

პირველი შთაბეჭდილება უარყოფითიც რომ იყოს, ადამიანს, როგორც წესი, ვენდობი, რადგან ყველა ადამიანშია რესურსი, რომელსაც შეიძლება, ენდო, რაც ხანდახან არ ამართლებს, მაგრამ იმედგაცრუების საგანი ესეც არაა *(ნათიას მზერა ფოტოკორესპონდენტ ზურა მეგრელიშვილზე გადააქვს, — ვ.პ.).* ზურასაც ვენდობი — ვიცი, ჩემი ფოტო კარგი გამოვა და ამით ბედნიერი ვარ! ასიდან 99 შემთხვევაში, ადამიანები იმედს არ აცრუებენ და ნდობა მართლდება.

ისე, სხვადასხვა ეტაპზე მენტორის, დასაყრდენის ფუნქციას, რა თქმა უნდა, სხვადასხვა ადამიანი ასრულებს: ჩემი პირველი დასაყრდენი ბაბუა იყო, რომლის გავლითაც სამყაროში ძალიან ბევრი რამ გავიცანი. მისგან თუნდაც მცენარეების ენა და ჩიტების მოსმენა ვისწავლე. მერე, მამას და დედას სამყარო შემოვიდა. სამყაროს მიმართ ჩემი ამერიკელი პროფესორის, ანათირა მიშერის ხედვაც ძალიან მნიშვნელოვანი იყო...

— ირაკლის სამყაროზე რას იტყვი?

— ირაკლის სამყარო ჩემს ცხოვრებაში?

— დიახ...

— ამით ცხოვრების კალაპოტი ერთად წარიმართა... ეს კიდევ რაღაც სხვა ურთიერთობაა...

— ნათია, შეიძლება, ამ თემაზე ლაპარაკი არ გინდა, მაგრამ ვიღაცები არ ჩერდებიან და სოციალურ ქსელში შენს ერთ ძველ ნათქვამს ატრიალებენ, რაც ბიძინა ივანიშვილი გამოჩნდა, მშვიდად ვარო, თუმცა, როგორც მოვლენათა განვითარებამ აჩვენა, თქვენი ოჯახის სიმშვიდე სწორედ ივანიშვილმა დაარღვია...

— ვანო, უნდა დავაზუსტო: კარგად არ მახსოვს, ეს ინტერვიუ რომელ ჟურნალში დაიბეჭდა, მაგრამ მთლიანად მსუბუქი იყო და ეს ამონარიდი მაშინ ნაციონალებმა აფრიალეს...

— ვიცი, შენი სიტყვები კონტექსტიდანაა ამოგლეჯილი და ამაზე სხვა დროსაც გვილაპარაკია, მაგრამ იცი, როგორაა — შესაკრებთა გადანაცვლებით ჯამი არ იცვლება: ადრე შენს სიტყვებს ნაცები აფრიალებდნენ, ახლა კი — „ოცნებელები“...

— სიტყვა „ნეტარება“ კი არა, „ნეტარი“ ვთქვი, რომელიც ირონიულია და „ცოტა სულელს“ ნიშნავს, მაგრამ ჟურნალისტმა „ნეტარება“ დაწერა და ამით ინტერვიუს სალაღობო შინაარსი, მეტ-ნაკლებად, შეიცვალა. ისე, ის სიმშვიდე, რომელიც მაშინ მქონდა, არ გამცრუებია. ცხოვრებისეული იმედი ბიძინა ივანიშვილზე კი არა, არავისზე დამიმყარებია — მხოლოდ ჩემი თავის იმედი მაქვს, მაგრამ იმ ინტერვიუში ლაპარაკი იყო, ბრძოლის ბედი გადაწყვეტილია და სიმშვიდეც ამ ბრძოლაში ივანიშვილის მონაწილეობითაა გამოწვეულიო.

რაც შეეხება „სიმშვიდის დარღვევას“, ჯერ ერთი, ეს კარგი ფორმულირებაა, მეორეც, მეტაფიზიკურ დონეზე, ვთვლი, რომ მან მხოლოდ თავისი სიმშვიდე დაარღვია, რადგან ჩვენ არ შეგვშლია — მას შეეშალა! ჩემს განცდაში მხოლოდ ისაა, რომ ხუთი ადამიანია ციხეში, ეს უსიამოვნოა და გინდება, იმ შეურაცხყოფას, რაც შენს ცხოვრებისეულ პრინციპებს ეწინააღმდეგება, პასუხი გასცე, თან ახლა აღმოჩნდა, რომ „კაბელების საქმეზე“ ბრალსაც კი ვერ უყენებენ — დანაშაულის ერთი „ფუნცქლიც“ არაა და რამდენი სიბინძურე უნდა მოიფიქრონ, რომ ბრალი მაინც წააყენონ. ადამიანებს შინაგან სიმშვიდეს კი არა, ჯანმრთელობასაც მხოლოდ საკუთარი შეცდომა გვირღვევს!..

— სიმშვიდე არც მაშინ დაგერღვა, როცა აღმოაჩინე, რომ შენს სახლში ვიღაც „კუდრაჭა“ იმყოფებოდა?.. ნუთუ, შინაგანად არაფერს ელოდი?

— შინაგანად, შეიძლება, ჩვენც აგვაფეთქონ ან წავიქცეთ და მოვკვდეთ... ადამიანს ყველაზე ძალიან, შეიძლება, სიკვდილის ეშინოდეს.

— სიკვდილის გეშინია?

— არა, რა თქმა უნდა, რადგან სიკვდილი ბუნებრივი მდგომარეობაა, დრო კი, ჯადოსნური რამეა — 20 წელი იცხოვრებ თუ ასი, მაინც ერთი წამია. ასე რომ, ვიდრე ცხოვრებაა, ცხოვრება იყოს! როცა სერფერი ტალღებში შედის ან ალპინისტი ევერესტზე მიცოცავს, არ ფიქრობს, რომ მოკვდება, მაგრამ მერე, რა, თუ მოკვდება, რა პრობლემაა?!

— კარის გაღება რომ მოგეხერხებინა და ვიღაც „კუდრაჭას“ ანუ ქურდს პირისპირ შეყროდი, რას გააკეთებდი?

— ძნელი სათქმელია... ასეთ რაღაცებზე ფიქრი ფუჭია, რადგან საფრთხის დროს ადამიანში განგაშის სისტემა ირთვება. განგაშის სისტემა ბუნებაში სამი სხვადასხვა სახით არსებობს: ერთია თავდასხმა — საფრთხე რომ იგრძენი, საბრძოლო მდგომარეობაში მოდიხარ; მეორეა გაქცევა, მესამე კი — გაშეშება, ვითომ უხილავი ხარ. ძნელი გასათვლელია, კონკრეტულ ვითარებაში ორგანიზმი განგაშის ამ სამი სახეობიდან რომელს აამუშავებს, თორემ მერე, მეც ვიდარდე, როგორ არ გამახსენდა, რომ ერთი გასაღები კარს მხოლოდ გარედან კეტავს, ჩამეკეტა და ვიღაცას პირდაპირ ფაქტზე დავიჭერდი-მეთქი. ეს არც ჩემს გამოცდილებაში იყო და არც — მოლოდინში. განა, იმას არ ველი, რომ შეიძლება, შეძვრნენ, კამერა დააყენონ ან რამე ცუდი გააკეთონ. უბრალოდ, არ ველოდი, რომ პირისპირ შემხვდებოდნენ. იგივე ახლა რომ მოხდეს, უკვე ვიცი, რომ კარს იმ გასაღებით დავკეტავ...

— სადარბაზოში რამდენ ხანს იდექი?

— ამის განსაზღვრა დარეკილი ზარების მიხედვით შემიძლია...

— სადარბაზოდან უცხო ხომ არ გამოსულა?

— არა... ალბათ, ჩემი ხმაც ესმოდა...

— მესამე სართულზე ცხოვრობთ, არა?

— მეოთხეზე...

— თუ არავინ გამოსულა, აბა, სად გაქრა?

— შეიძლება, ზემოთ ავიდა ან რომელიმე ცარიელ ბინაში შევიდა...

— როგორც ვიცი, კორპუსის გარეპერიმეტრზე ვიდეოკამერებია. ჩანაწერში რამე საეჭვო ჩანს?

— არ ვიცი, კამერები რომ გასინჯეს, რა აღმოაჩინეს...

— სახლიდან არაფერი დაკარგულა?

— არა...

— ნათია, ცუდი რაღაც უნდა გკითხო...

— (იღიმის) კარგი მკითხე, შე კაცო...

— კარგსაც გკითხავ... იმ ინციდენტის გამო, რაც ლოპოტაზე მოხდა — თქვენი წამოსვლის შემდეგ, სასტუმროდან ვიდეოჩანაწერები ამოიღეს, ხომ არ გაგიმძაფრდა განცდა, რომ ირაკლი, შეიძლება, დაიჭირონ?

— დამსახურების, წესიერებისა და სამართლის მიხედვით, ვერ და არ უნდა დაიჭირონ, მაგრამ, თუკი ამ ქვეყანაში ყველაფერს ხაზი გადაუსვეს და ისეთი თავნებობა იქნება — როგორც გვინდა, ისე მოვიქცევითო — მაშინ რა პრობლემაა, შენც რომ დაგიჭირონ, ირაკლიც და ტრიფონიც, თორემ სამართლებრივი თვალსაზრისით, ირაკლის ვერ დაიჭერენ!

— ისე, ამ „ამბიციურ და უჭკუო“ ალასანიასთან თანაცხოვრება არ გიჭირს?

— თანაცხოვრება ბედნიერებაცაა და გაჭირვებაც. შეიძლება, ყოფილა შემთხვევა, როცა დავღლილვარ. ეს დაღლილობა ყველაზე ძალიან მაშინ შევიგრძენი, როცა ირაკლი ნიუ იორკიდან საქართველოში დაბრუნდა — ის პერიოდი, პროფესიულად თუ პიროვნულად, ჩვენთვის ძალიან კარგი იყო და მქონდა განცდა, ვერ დავისვენე, კიდევ სადღაც გარბის-მეთქი. დღეს კი, ირაკლის ბრძოლის მიმართ გულში ისეთი თანხმობა მაქვს, როგორც არასოდეს. საერთოდ, ამბიცია ცუდი სიტყვა არაა, თუმცა ცუდი მაშინაა, როცა იმას ეჭიდები, რაც შენს პროფესიონალიზმსა და კომპეტენციას სცილდება, თორემ ამბიცია ადამიანს ქმნის. თუნდაც, თუ ქართველები ამბიციური ერი არ ვიქნებით, გვეკუთვნის, მაგარი ქვეყანა გვქონდესო, მაგარი ქვეყანა ვერასოდეს გავხდებით. ირაკლის თავისი ხედვა აქვს, ქვეყანა როგორ კალაპოტში უნდა განვითარდეს. ირაკლი ამ ხედვას ადამიანებს მიაწვდის და, თუკი ხალხს მოწონება, მაშინ თავი არ უნდა დაზოგოს. ეს ხედვა ადამიანებს რომც არ მოეწონოთ, ირაკლის ეცოდინება, რომ თავი არ დაზოგა ანუ თავის თავთან მართალი იქნება... ასე იქნება თუ ისე, ცხოვრება მაინც მშვენიერია იმიტომ, რომ თუკი ამხელა პასუხისმგებლობას წამოიკიდებ და ქვეყნისთვის სიკეთეს გააკეთებ, ეს ბედნიერებაა, მაგრამ, თუ არ წამოიკიდებ, ეს ცალკე ბედნიერებაა...

— როცა ირაკლი ზემოხსენებული ეპითეტებით შეამკეს, გაგეცინა?

— რა თქმა უნდა. ჯერ ერთი, გააჩნია, ეპითეტებს ვინ ისვრის; მეორეც, ადამიანი, რომელიც თვითონ ღირსებით სავსეა, ასეთ ეპითეტებს არ ისვრის...

— ნათია, პირფერობად არ ჩამითვალო და, ჩემს გარშემო თითქმის არავინაა, ვინც შენდამი კეთილად არაა განწყობილი, თუმცა მას შემდეგ, რაც ირაკლი „ოცნებას“ დაუპირისპირდა, ერთი-ორმა სოციალურ ქსელში გაგაქილიკა...

— არ შეიძლება, ყველას მოსწონდე. იმას მოსწონხარ, ვინც შენთან კულტურულ, ინტელექტუალურ თანხვედრას გრძნობს...

— ...გახსოვს, წელიწადნახევრის წინ შენთან ვიყავი. მერე, საღამოს, მომწერე, შენი გამომეტყველება არ მომეწონა და რა გჭირსო...

— ეს ხომ მაშინ იყო, ავად რომ ხდებოდი?

— ჰო... მოკლედ, შენგან უდიდესი პოზიტივი მოდის...

— (იცინის) ჩემი სუბიექტური ნეპოტისტი ხარ...

— არც სუბიექტური ვარ და არც ნეპოტისტი, თან ნეპოტისტს საჯაროდ რომ მიწოდებ, რა, გინდა, დამიჭირონ?

— (ისევ იცინის) არა, არ მინდა...

— ...ნათია, რა ამის პასუხია და, ადამიანები გიჟები ვართ?

— არა...

— სიგიჟე რა არის?

— სიყვარულის უუნარობა და ამის გამო სამყაროში ჰარმონიის დარღვევა.

— ჰარმონია ხომ პირობითი ცნებაა: ის, რაც შენთვის ჰარმონიაა, ჩემთვის, შეიძლება, დისჰარმონია იყოს...

— ჰარმონია სიყვარული და სიცოცხლეა! ჰარმონია ყველაფერთან ისეთი ღია და ლოგიკური დამოკიდებულებაა, როგორი წესრიგიც კოსმოსშია...

— კი ბატონო, ჰარმონია სიყვარული და სიცოცხლეა, მაგრამ ადამიანთა მოდგმის მიზანი კარგი ცხოვრებაა. კარგ ცხოვრებად ბევრი ფული ითვლება, რისთვისაც ერთმანეთს ვხოცავთ და ათასგვარ სისაძაგლეს ჩავდივართ. აი, ესაა ცხოვრება და სიყვარული რა შუაშია?

— ვანო, ადამიანებში ძალიან დიდი სიყვარულია. უბრალოდ, ადამიანის არსებობა დიქოტომიურია ანუ ჩვენ ცხოველი სხეული და ამავე დროს, სულიც გვაქვს, რომელიც შემოქმედებითია და რომელიც, თავისი საოცარი სინათლით, ზოგჯერ, ღმერთსაც უტოლდება. ადამიანი, სწორედ ამ შემოქმედებითი სულის წყალობით, სხეულისგან ნაკარნახევ ცნობიერებაზე მაღლდება, მაგრამ სხეულს ბოლომდე მაინც ვერ გაექცევა და ადამიანური ქცევა ხშირად ბუნებიდანაა გადმოტანილი: ვთქვათ, როცა ლომი თავის სანადირო კვადრატს იცავს. როცა უძლურდება, ახალგაზრდა ლომი სხვა კვადრატიდან მოდის, დაბერებულს გლეჯს და მის სანადირო ტერიტორიას ეპატრონება, მის შვილებსაც — ბოკვრებს ჭამს, რათა ამ კვადრატში თავისი გენი განავითაროს. ადამიანები ჯუნგლის კანონს დღემდე ვერ გავემიჯნეთ და ომები სწორედ ამ პრინციპით ანუ სარჩო-საბადებლისთვის ხდება. ამ სარჩო-საბადებელს ნავთობი და ოქრო ახლა ჰქვია, თორემ ადრე ადამიანები ერთმანეთს თავს იმიტომ უჩეხდნენ, რომ ერთის ძროხამ მეორის მიწაზე ბალახი მოძოვა. ადამიანური გზა სიმპათიას იმსახურებს, რადგან ცხოველური ინსტინქტებისგან გაქცევას და იმ ღვთაებრივ საწყისთან გატოლებას ცდილობს, რომელიც მასშია. გზა გრძელია, მაგრამ მთავარია, ცდილობს.

— თქვენს საცხოვრებელ კვადრატს ირაკლი როგორ იცავს?

— ირაკლის სანადირო კვადრატი სარჩო-საბადებლით გამდიდრების კვადრატი არასოდეს ყოფილა! სწორედ ესაა ღირებულებითი ბრძოლა. მისი ღირებულება იმ კვადრატს უკავშირდება, რასაც ქვეყანა ჰქვია. ვიდრე ეს ჯუნგლური გადანაწილება — ქვეყნები, სახელმწიფოები — არსებობს, ჩვენი ქვეყანა დასაცავი გვაქვს, რომელიც კიდიდან კიდემდე უნდა იგრძნო.

— ნათია, შენი და ირაკლის მტრები ვინ არიან ან, საერთოდ, მტრები გყავთ?

— (ფიქრობს) არ ვიცი... რთული კითხვაა...

— დარტყმებს საიდან ელი ხოლმე?

— ვანო, ძალიან პოლიტიკური პასუხი გამომივა და არ მინდა...

— ცხოვრებაში ყველაზე რთული პერიოდი როდის გქონია, უფრო სწორად, სირთულედ რას თვლი — ფინანსურ კრიზის თუ..?

— ვანო, ტრაგედიის სულ ორი ფორმა არსებობს: ძვირფასი ადამიანის სიკვდილი და მძიმე ავადმყოფობა. ყველაფერი დანარჩენი კი, უბრალოდ, უსიამოვნებაა.

— მამის გარდაცვალება როგორ გაიგე?

— ამაზე ლაპარაკი არ მიყვარს...

— ის განცდა, რაც მაშინ დაგეუფლა, დიდხანს გაგყვა?

— რა თქმა უნდა... უკვალოდ არაფერი მიდის...

— ბოლოს მამაშენის რომელი ნაწარმოები წაიკითხე?

— 2014 წლის მაისში, „ეშმაკის ბორბალს“ რედაქტირება გავუკეთე...

— გურამ ფანჯიკიძის ნაწერები რამეში გეხმარება?

— კი, მეხმარება...

— გურამ ფანჯიკიძე და მამია ალასანია ცოცხლები რომ იყვნენ, შენი და ირაკლის ცხოვრება სხვანაირი იქნებოდა?

— ალბათ... როცა ისინი იყვნენ, ყველაფერი სხვანაირი იყო... მათ კვალი დატოვეს... მერე, ჩვენც აღარ ვიქნებით...

— აფხაზეთსა და სამაჩაბლოს, როგორ ფიქრობ, ოდესმე დავიბრუნებთ?

— ის, რაზეც აღარ ფიქრობ, აღარ ბრუნდება, ის კი, რაზეც ფიქრობ, აუცილებლად დაბრუნდება! ოღონდ ეს ფიქრი სწორი, ანუ სიყვარულით სავსე უნდა იყოს.

— რაზე აღარ ფიქრობ?

— ბალერინობაზე — ბავშვობაში დედას ოპერისა და ბალეტის თეატრში დავყავდი და იმ ნაზ, ფარფატა კაბებზე, დაბლა ნელა რომ ეშვებოდა, ვგიჟდებოდი.

— საქართველოში რომ არ დაბადებულიყავი, თავს ყველაზე კარგად რომელ ქვეყანაში იგრძნობდი?

— თავს ძალიან ცუდად აფრიკის განსაკუთრებით გაუბედურებულ ქვეყანასა და ავღანეთში ვიგრძნობდი, სადაც ამდენი თაობა ომის ჯოჯოხეთშია. ასეთი უკიდურესობის გარდა, ვხუმრობ ხოლმე, ყველგან, სადაც მე ვარ, ყოფნა კარგია-მეთქი. კარგია, ქართველი რომ ვარ და ასეთ კომბინაციებს ფიქრებშიც არ ვადგენ. რეალობასთან ჰარმონიულად ვარ გამაგრებული!

— აშშ-მ რა მოგცა?

— ძალიან დიდი პროფესიული გამოცდილება და ბევრი რამის ცოდნა.

— ნიუ იორკმა თავისუფლებაც ხომ არ გასწავლა?

— თავისუფლება იოლად არ ისწავლება! თავისუფლება სულში, მხოლოდ ნოყიერ ნიადაგში ვითარდება!

— ნათია, ამ თემაზე ადრეც ვილაპარაკეთ, მაგრამ კიდევ გკითხავ: მაშინ, როცა მინისტრის ცოლი გერქვა და ირაკლის შენი თავისუფლება რომ შეეზღუდა, ვთქვათ, მიენიშნებინა, სოციალურ ქსელში აზრის გამოთქმისგან თავი შეიკავეო, გააპროტესტებდი?

— თავისუფლება რატომ უნდა შეეზღუდა?

— ვიღაცები ქირქილებენ, ის, რაც ალასანიას გარშემო მოხდა, მისი ცოლის დამსახურებაა — არ ჩერდებოდა და ხელისუფლებას საჯაროდ აკრიტიკებდაო.

— ის, რომ რამე ჩემი ბრალია, ცრუ წარმოდგენაა!

— „გააჩერეთ ეს ქალი!“ — ასეთ კომენტარებსაც წერდნენ...

— ეს შეკვეთილი კომენტარები იყო, რადგან „ამ ქალს“ საქართველოში არავისთვის არაფერი დაუშავებია, რაც იმას ნიშნავს, რომ არავინ შეუწუხებია.

— ...ნათია, ხომ არ გაცდენ?

— არა, ძალიან მიყვარხარ და შენთან ლაპარაკი მსიამოვნებს...

— რუსეთში ბოლოს როდის იყავი?

— რუსეთში ნამყოფი არ ვარ!

— ეს როგორ — ბოლოს და ბოლოს, ბავშვობა „დიად საბჭოეთში“ გაატარე და მამამ მოსკოვში ერთხელ მაინც არ წაგიყვანა?

— არა... ერთხელ, მე და ჩემმა მეგობარმა გემით რუსეთის რამდენიმე ქალაქის სანაპირო მოვიარეთ, მაგრამ ეს რუსეთში ყოფნას არ ნიშნავს, რადგან ძირითად დროს მაინც გემზე ვატარებდით...

— რატომ თვლი, რომ საქართველოს გადარჩენა დასავლეთშია?

— ყველა ხომ ვფიქრობთ, რომ შვილი უკეთეს სკოლაში შევიყვანოთ, სადაც კარგი გარემო, სისუფთავეა და ესა თუ ის საგანი კარგად ისწავლება... ქვეყანაც ასეა — მასთან უნდა ვიმეგობროთ, სადაც წინსვლის უკეთესი პირობებია, თორემ მას, რომელსაც საკუთარი თავისთვის ვერ მოუვლია, ჩვენთვის რესურსი არ აქვს. ისე, ისტორიული თვალსაზრისით, მტრები იცვლებიან — ვინც მტერი იყო, აღარაა ანუ პოლიტიკა ჯვრისწერა არაა, მაგრამ დღეს რეალობა ასეთია: რუსეთმა ბევრი დაგვაკარგვინა და თავის ნანგრევებში მოგვიყოლა. აქედან გამომდინარე, საქართველოსთვის აუცილებელია ძლიერი ალტერნატივა, რომელიც მისი საყრდენი იქნება! დასავლეთი და ნატო ჩემთვის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობასთან ასოცირდება! მათგან მეტი არაფერი მჭირდება!

— ყველაფერი ეს გასაგებია, მაგრამ რუსეთი ერთმორწმუნეა, ტრადიციები შეგვინარჩუნა...

— ერთმორწმუნე კი არა, შენი სისხლი და ხორციც რომ იყოს, რომელიც შვილებს დაგიცხრილავს, მგონი, უნდა მიხვდე და მისგან თავი შორს დაიჭირო! ასე რომ, ჩვენთვის ძალიან შორს არც დასავლური რწმენაა — იქაც არიან მართლმადიდებლური ქვეყნები. ბოლოს და ბოლოს, ევროპაშიც ქრისტიანები არიან! მუსულმანების საწინააღმდეგოც არაფერი მაქვს — არაჩვეულებრივი კულტურის ხალხია. ჩვენს ქვეყანაშიც უამრავი მუსულმანია... ჩემთვის მთავარი მორწმუნეობა, ღვთის იდეის გაგებაა და არა ის, თუ როგორი გზით ცდილობს ადამიანი ღმერთთან დაახლოებას...

— რამდენიმე კვირის წინ, „შარლი“ იყავი?

— მე ყოველთვის მე ვარ, მაგრამ ნებისმიერი მკვლელობა, თუნდაც იმ ადამიანის, რომელიც ყველაზე ცუდ ნახატს ხატავს, საშინელებაა!

— არის ისეთი ადამიანი, ვისთანაც კონტაქტი გაწყვიტე?

— ასეთ კატეგორიულ გადაწყვეტილებას არ ვიღებ ხოლმე. ზოგჯერ ადამიანი ძალიანაც გიყვარს, მაგრამ ურთიერთობას ვერ ახერხებ.

— სადმე ბიძინა ივანიშვილს რომ შეხვდე, მიესალმები?

— რა პრობლემაა?!

— ...დედამიწა გიყვარს?

— (იღიმის) რა თქმა უნდა — მსუქანი და მრგვალი...

— უცხოპლანეტელებზე გიფიქრია?

— ბავშვობაში მიფიქრია, ნეტავ, სადმე მსგავსი ცივილიზაცია თუ კიდევ არსებობს-მეთქი...

— ოცნებაც გიყვარს?

— ოცნება დასაწყისია: ოცნება სურვილად უნდა ფორმირდეს, სურვილი — მიზნად და მერე, ოპერატიული მოქმედება დაიწყება. ასე რომ, ოცნება სურვილის ჩანასახობრივი წინაპირობაა.

— ოცნება აგხდენია?

— კი, როგორ არა...

— ესე იგი, ოცნებები ხდება...

— რასაკვირველია, თუკი მას რაციონალურ სახეს მივცემთ...

— რა არის შენთვის „კამარა“?

— „კამარა“ მოდელია, რომელიც ჩემს რწმენასა და მტკიცებულებაში შედის — თუკი ადამიანს კარგად ექცევი, გიყვარს და სწორ გარემოს უქმნი, მისი სული თბება, ყვავილივით იშლება და შემოქმედებას იწყებს! ასე რომ, „კამარა“ განხორციელებული ღირებულებაა!

— „კამარაში“ პაციენტები როგორ მოდიან?

— ინფორმაცია, „ციგნის ფოსტისა“ არ იყოს, სწრაფად ვრცელდება — ის, ვინც კარგად გახდა, „კამარაზე“ სხვას უყვება... ზედმეტ რეკლამას სიამოვნებით გავაკეთებდი, მაგრამ ამ ეტაპზე ისევ კაპიკებზე ვმუშაობთ, ტერიტორიაც მცირე გვაქვს და, ხალხი რომ მოგვაწყდეს, რა ვქნათ?! ჩვენ ბიზნეს-ორგანიზაცია არ ვართ, თერაპია პაციენტისთვის უფასოა და მცირე უცხოური ფინანსური დახმარებით ვარსებობთ. ახლა პრეზიდენტმა დაგვაფინანსა — თავისი შეწყალებული პატიმრების თერაპია შეგვიკვეთა და ამით დახმარება საზოგადოებასაც გაუწია, ყოფილ პატიმარსაც და ჩვენც. მინდა, სტაციონარი მქონდეს და მკურნალობა აქვე დავასრულო, მაგრამ, რადგან სტაციონარი არ გვაქვს, ვცდილობთ, ადამიანს, რომელიც სიფხიზლეს დამოუკიდებლად ვერ ინარჩუნებს, ე.წ. ლომკა ან მშრალად გადავაგდებინოთ, ან ვთხოვოთ, რომ ჯერ სტაციონარში იმკურნალოს და მერე ჩვენთან მოვიდეს.

— პაციენტებს შენდამი განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვთ. ახლებს კონტაქტში შემოსვლა არ უჭირთ?

— არა. მთავარია, ჩვენ როგორ ვხვდებით. საერთოდ, არაცნობიერი არასოდეს ცდება. ადამიანებს შორის ვერბალური, სიტყვიერი კონტაქტის მნიშვნელობა, რასაც ცნობიერი აკონტროლებს — მხოლოდ 20 პროცენტია. როცა ენერგეტიკული კავშირი პაციენტთან სწორი იმპულსით მიდის, გრძნობს, რომ უნდა გენდოს...

— პაციენტი მართებული ტერმინია?

— რა თქმა უნდა! პაციენტი დამამცირებელ ტერმინად არ მიმაჩნია და სწორედ ამ ტერმინის შენიღბვაა სტიგმატიზება.

— ნარკომანიის სტიგმა მხოლოდ პოსტსაბჭოთა ქვეყნებშია?

— დიახ, ასეა. ცივილიზებულ მსოფლიოში ნარკოლოგია ფსიქიატრიული კლინიკის დეპარტამენტია, რადგან ნარკომანია ტვინის დაავადებაა — ამ ნივთიერებების მიღებით და ცნობიერების მუდმივი ხელოვნური ცვლილებით ტვინში ირღვევა მეტაბოლიზმი და ამავე დროს, ქერქიც ზიანდება. ტვინის პრობლემა ორ დარგს — ნევროლოგიასა და ფსიქიატრიას „ეკუთვნის“. აქედან გამომდინარე, ნარკომანია ავადმყოფობაა, რომლის კრიმინალურ ჩარჩოში მოქცევაც დაუშვებელია!

— ნათია, ბოლოს, ერთსლა გკითხავ და ჩემს გზაზე წავალ: მას შემდეგ, რაც მინისტრის ცოლი აღარ გქვია, ადამიანები შენთან ურთიერთობას ხომ არ გაურბიან?

— სიტყვა „ადამიანი“ ძალიან ბევრს ნიშნავს... არა, არ გაურბიან! ძალიან ბევრი ადამიანი მახვევია!

— ჩემს ადგილას რომ იყო, ნათია ფანჯიკიძეს რას ჰკითხავდი?

— (ფიქრობს) არ ვიცი... ვანო, შენს ადგილას როგორ უნდა ვიყო? — შენ შენ ხარ, თან ჟურნალისტობა ჩემი პროფესიისგან რადიკალურად განსხვავდება. ჩემი პროფესიის მთავარი მოთხოვნა საიდუმლოს შენახვა და ადამიანის თითოეული სიტყვის გაფრთხილებაა. ჟურნალისტისთვის კი, პირიქით, მთავარი ინფორმაციის გახმაურებაა.

— რა ვიცი, ქვეყნის დანგრევას ჟურნალისტებს გვაბრალებენ...

— ეს ქვეყანა ჟურნალისტებმა ან რომელიმე სხვა ჯგუფმა კი არა, ნებისმიერი ჯგუფიდან მათ დააქციეს, ვისაც ადამიანების წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობა არ ჰქონდა!

— წარმატებებს გისურვებ, ნათია!

მაია მიშელაძე
593-51-90-12

„ის ხალხი, ვინც ეკონომიკური მიმართულების თანამდებობები დაჭოვა, ინვესტორებს ხელს უშლიდა!“

დავით ონოფრიშვილის სკანდალური განცხადება — რა გავლენას მოახდენს ეკონომიკაზე ვადამდელი არჩევნები

„ლარის გაცვლითი კურსის გაუფასურებამ იმ ზღვარს მიაღწია, როცა არსებობს მნიშვნელოვანი საფრთხე, ინფლაციური მოლოდინი ფასების ზრდაში გადაიზარდოს. ამ პროცესით ის მოქალაქეები ზარალდებიან, ვისაც ვალდებულებები დოლარში აქვთ, შემოსავლები კი, — ლარში. ამიტომ ლარის კიდევ გაუფასურება მათ ეკონომიკურ მდგომარეობას უფრო გააუარესებს, რაც საბოლოო ჯამში, უარყოფითად ქვეყნის ეკონომიკაზე აისახება. მივიღეთ გადაწყვეტილება, მომდევნო კვირიდან დავიწყოთ მონეტარული პოლიტიკის გამკაცრება. იმ გამოწვევების ფონზე, რაც დღეს ეკონომიკაშია და იმ რიცხვებისა თუ მონაცემების ანალიზის საფუძველზე, რაც გვაქვს, აუცილებელია, გადავხედოთ ეკონომიკური ზრდის 5%-იან პროგნოზს შემცირების მიმართულებით, ასევე შესაბამისი ფისკალური და მაკროეკონომიკური ინდიკატორების გადაგეგმვა“, — განაცხადა პარასკევს, 30 იანვარს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა, გიორგი ქადაგიძემ. რას ნიშნავს დაგეგმილი 5%-იანი ეკონომიკური ზრდის შემცირება, რატომ შემცირდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და ეკონომიკურად, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები გამართლებულია თუ არა? — „ვერსია“ „თავისუფალი დემოკრატების“ წარმომადგენელს, პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარეს, დავით ონოფრიშვილს ესაუბრა.

— ბატონო დავით, რას ნიშნავს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის, გიორგი ქადაგიძის განცხადება — ლარის კურსი საშიშ ზღვარს მიუახლოვდა და მონეტარული პოლიტიკა უნდა გამკაცრდესო?

— წინა კვირის დასაწყისში, გიორგი ქადაგიძე კომიტეტში გვყავდა მოწვეული, სადაც მხოლოდ ლარის კურსსა და სავალუტო პოლიტიკაზე კი არა, ფულად-საკრედიტო და მთლიანად, ეკონომიკაზე ვისაუბრეთ. საერთოდ, ამ ტიპის განცხადებები დროულად უნდა გაკეთდეს და არა დაგვიანებით, რადგან, როცა საკითხი ინფლაციურ მოლოდინს ან ლარის გაუფასურებას ეხება, რამდენიმე დღესაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. უნდა ჩანდეს, რომ ეროვნული ბანკი მხოლოდ სიტყვით კი არა, გარკვეული ნაბიჯებითაც მზადაა ზომების მისაღებად. ყველაზე საოცარი ის არის, რომ ბოლო 10 დღის განმავლობაში, მთავრობა და ეროვნული ბანკის პრეზიდენტი, ლარის კურსის სტაბილიზაციასა და ზოგადად, ეკონომიკურ პრობლემებთან დაკავშირებით, შეხვედრებს მართავდნენ, მაგრამ თუნდაც გასულ კვირას პრემიერ-მინისტრმა, მთავრობის წევრებმა და ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა აბსოლუტურად განსხვავებული განცხადებები გააკეთეს. მაგალითად, პრემიერმა განაცხადა, რომ ფასების მნიშვნელოვანი ზრდა მოსალოდნელი არაა და ლარის კურსთან დაკავშირებით განსაკუთრებული არაფერი ხდება. მანამდე ყოფილმა პრემიერმა აღნიშნა, რომ ლარის კურსი საზოგადოებას ტვირთად არ აწევს, რასაც, ცხადია, არც მე და, ალბათ, არც საზოგადოების 99% არ ვეთანხმებით; მერე კი ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა პირდაპირ განაცხადა, რომ არსებობს მნიშვნელოვანი საფრთხე, ინფლაციური პროცესები ფასების ზრდაში გადაიზარდოს... სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია: მთავრობა არსებულ ეკონომიკურ მდგომარეობას, გამოწვევებს არაადეკვატურად აფასებს და უნარი არ შესწევს, დროულად იმოქმედოს. აქედან გამომდინარე, აშკარაა სამთავრობო კრიზისის სერიოზული ნიშნები; მეტიც — თუ მთავრობა იმ პროცესების იგნორირებას გააგრძელებს, რაც ეკონომიკაში რეალურად მიმდინარეობს, საბოლოოდ ეკონომიკაში კრიზისს მართლა გამოიწვევს. საკმაოდ რთული ვითარებაა.

— ვიდრე სამთავრობო კრიზისის თემას განვავრცობთ, ეროვნული ბანკის პრეზიდენტის განცხადებები ამოვწუროთ. გიორგი ქადაგიძემ ისიც აღნიშნა, რომ დაგეგმილი 5%-იანი ეკონომიკური ზრდის პარამეტრები შემცირებისკენ უნდა შეიცვალოს. ასეთი რეალობის წინაშე რატომ დავდექით?

— ეს უკვე ფისკალური ნაწილია და სახელმწიფო ბიუჯეტს ეხება. სწორედ 5%-იან ეკონომიკურ ზრდაზეა დაფუძნებული ის ბიუჯეტი, რომელიც პარლამენტმა 2014 წლის 11 დეკემბერს დაამტკიცა. შესაბამისად, 5%-იან ზრდაზეა დაგეგმილი საგადასახადო შემოსავლებიც. თუ 5%-იან ეკონომიკურ ზრდას მნიშვნელოვან შემცირებისკენ გადახედავენ, ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფო ბიუჯეტში როგორც შემოსავლები, ასევე ხარჯებიც უნდა შემცირდეს, მაგრამ მთავრობის პოზიცია ჯერჯერობით უცნობია — რამდენად ეთანხმება ეროვნული ბანკის პრეზიდენტს, ამის შესახებ პარლამენტის წევრებმაც არ ვიცით. მთავრობა ამ თემაზე შესაბამის განცხადებას, ალბათ, უახლოეს დღეებში გააკეთებს. უნდა ვიცოდეთ, რას აპირებს მთავრობა მომავალში, რადგან ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა ისიც განაცხადა, საჭიროა ახალი გეგმის შემუშავება, რათა ეკონომიკური პოლიტიკა ადეკვატურად ასახავდეს ამ გამოწვევებსო. ეს ნიშნავს, რომ ახალი ეკონომიკური პოლიტიკა უნდა შემუშავდეს და ეკონომიკური მიმართულებით ახალი ნაბიჯები გადაიდგას, რაც ეროვნულ ბანკს კი არა, მთავრობას ეხება. საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი, დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტთან ერთად, 2 ან 3 თებერვალს მთავრობის ეკონომიკურ გუნდთან შეხვედრას გეგმავს, სადაც ამ კითხვაზე კონკრეტულ პასუხს მოვითხოვთ...

— რაც შეეხება სამთავრობო კრიზისს, მთავრობის სხდომაზე პრემიერმა განაცხადა, რომ ფასების ზრდას არ უნდა ველოდეთ, სხდომის შემდეგ კი ჯანდაცვის მინისტრმა აღიარა, მედიკამენტების გაძვირება ლარის კურსის ცვლილებამ გამოიწვიაო. ყოფილმა პრემიერმა თქვა, ლარი ჯანმრთელადააო, კვირის ბოლოს კი ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა ლარის კურსის საშიშ ზღვარზე გაამახვილა ყურადღება. ასეთი ურთიერთგამომრიცხავი განცხადებები რას ნიშნავს, ბატონო დავით?

— აქ მრავალმხრივი პრობლემა ჩანს, პრემიერ-მინისტრის შეფასებით, განსაკუთრებული არაფერი ხდება, ეროვნული ბანკის პრეზიდენტს სრულიად განსხვავებული პოზიცია აქვს; იმავდროულად, ჯანდაცვის მინისტრს სამართლიანად მიაჩნია, რომ მედიკამენტები და ცალკეული პროდუქტი გაძვირდა... ამაზე ეროვნული ბანკის პრეზიდენტმაც ისაუბრა, რომელიც ჩარევას აპირებს, თუმცა, როგორც გითხარით, ეს ჩარევაც დაგვიანებულია, რადგან ეროვნული ბანკის პრეზიდენტს თუნდაც კვირის დასაწყისში უნდა განეცხადებინა, რომ გარკვეული ნაბიჯების გადადგმას გეგმავდა. ეროვნულ ბანკს მის ხელთ არსებული ინსტრუმენტები რომ გამოეყენებინა, ეს უკვე სერიოზული სიგნალი იქნებოდა, როგორც მოსახლეობის, ასევე სავალუტო ბაზრისა და ბიზნესისთვის და არ მგონია, ლარის კურსი ასე გაქცეულიყო — 1 ლარი 1 აშშ დოლართან მიმართებაში, შესაძლოა, 2.00 ლარამდე მისულიყო, მაგრამ ფსიქოლოგიური ბარიერი არ უნდა გადაკვეთილიყო ანუ 2.00 ლარზე მეტი არ უნდა ყოფილიყო. ბოლო დღეებში, აშკარაა ლარის გაუფასურების სპეკულაციური მოლოდინი.

— მთავრობის სხდომაზე ირაკლი ღარიბაშვილმა ასევე განაცხადა, რომ ეკონომიკურად მძიმე წელი გველის, რაც ფინანსთა მინისტრმაც დაადასტურა, თუმცა არც ღარიბაშვილს და არც ხადურს არ დაუკონკრეტებიათ, ამ სიმძიმეში რას გულისხმობენ...

— ეს ერთადერთი განცხადებაა, რომლითაც პრემიერ მინისტრმა არსებული სირთულეები აღიარა, თუმცა გეთანხმებით, არ დაუკონკრეტებიათ, რას გულისხმობდნენ. ფაქტია: ბოლო დროს ეკონომიკური ზრდის ტემპი მნიშვნელოვნად შემცირდა: 2014 წლის ოქტომბერში 3.5% იყო, ნოემბერში კი მინუს 0.5%-იანი კლება დაფიქსირდა, დეკემბრის მაჩვენებელი 1.9%-ის ფარგლებშია, რაც ნიშნავს, რომ ეკონომიკური ზრდა კლებისკენ მიდის და საკმაოდ ნეგატიური მაჩვენებელია. 2014 წლის ზრდის მაჩვენებელი, 5%-ის ნაცვლად, 4.7% იყო. გარდა ამისა, სავაჭრო ბრუნვის უარყოფითმა სალდომ რეკორდულს მიაღწია — 5.7 მილიარდი ლარია და ამ დეფიციტის დაფინანსების რეალური წყაროები არ ჩანს. როგორც წესი, ეს საზღვარგარეთ მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების ფულადი გადმორიცხვებია, მაგრამ ამ ტიპის გადმორიცხვების დიდი წილი რუსეთზე, უკრაინასა და საბერძნეთზე მოდის, სადაც სერიოზული კრიზისია. დეფიციტის შევსების სხვა წყარო ტურიზმიდან მიღებული შემოსავლებია, რაც 2014 წელს მნიშვნელოვნად არ გაზრდილა. რაც მთავარია, ინვესტიციების პრობლემებია, მართლაც, დიდი იყო მოლოდინი, რომ ინვესტიცია ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზრდებოდა, თუმცა ეს ციფრი 1 მილიარდის ფარგლებში ტრიალებს.

რაც შეეხება გამოსავალს, ტურისტების რაოდენობას ხელოვნურად ვერ გაზრდი, გზავნილებს ძალად ვერავის გადმოაგზავნინებ, მაგრამ ინვესტიციების ნაწილში სერიოზულმა, მიზანმიმართულმა და შესაბამისი პირობების შექმნისკენ მიმართულმა მუშაობამ, შესაძლოა, ეფექტი იქონიოს.

— ინვესტიციები რატომ შემცირდა, ინვესტორები თავს რის გამო იკავებენ, მით უმეტეს მაშინ, როცა რამდენიმე მსხვილი პროექტი უკვე დაწყებულია?

— ზოგადად, ინვესტორების თავშეკავება ჩვენი რეგიონის სირთულეს უკავშირდება. ჩვენს მეზობლებს — რუსეთ-უკრაინას შორის ომია და რეგიონში არსებული მდგომარეობა გაუარესებულია. გარდა ამისა, დავოსისა და მსგავსი ტიპის სხვა ეკონომიკურ ფორუმებზე არაერთხელ გვსმენია მთავრობის განცხადებები, რომ საქართველოში ესა თუ ის მსხვილი ინვესტორი აპირებს ფულის დაბანდებას, შეიქმნა სხვადასხვა ფონდი, მაგრამ ერთი-ორი გამონაკლისის გარდა, ეს განცხადებები რეალიზებული არაა. საქართველოში ყოველწლიურად 1.5 მილიარდი აშშ დოლარის ინვესტიცია მაინც რომ შემოდიოდეს, იმ სირთულეებს, რაც დღეს ეკონომიკაშია, სერიოზულად დააბალანსებდა. შესაძლოა, საგადამხდელო ბალანსი სრულად ვერ გამოსწორებულიყო, მაგრამ ის პრობლემები, რაც ეკონომიკურ ზრდას, დასაქმებასა და გაცვლით კურსს ეხება, საგრძნობლად შემცირდებოდა.

მოკლედ, სახეზეა სამთავრობო კრიზისის ნიშნები — სრულიად განსხვავებულ და ურთიერთგამომრიცხავ განცხადებებს ვისმენთ პრემიერისა და მთავრობის წევრებისგან, არ ჩანს კოორდინირებული ქმედებები და თუ ასე გაგრძელდება, საშუალოვადიან პერსპექტივაში, სამთავრობო კრიზისს ეკონომიკური კრიზისიც მოჰყვება.

— ყველაზე მნიშვნელოვანი ეკონომიკური რეცეპტი ჭარბი რაოდენობის პირდაპირი უცხოური ინვესტიციებია?

— ინვესტიციების მოზიდვა, ექსპორტის სტიმულირება, ბიზნესში ჩაურევლობა...

— ალბათ, ინვესტიციებისა და ექსპორტის სტიმულირების ინსტიტუტებიც უნდა შეიქმნას...

— დიახ, ამა თუ იმ პრობლემის გადასაჭრელად, მთავრობის ცალკეული წევრები სწორად დეკლარირებენ, მაგრამ სწორ ნაბიჯებს რატომღაც ვერ დგამენ. მსმენია, რომ ის ხალხი, რომელმაც ეკონომიკური მიმართულების თანამდებობები არცთუ დიდი ხნის წინ დატოვა, ინვესტორებს შემოსვლაში ხელს უშლიდნენ და ინვესტირების პროცესებს გარკვეულწილად ამუხრუჭებდნენ. არადა, მსხვილ ინვესტორს ჭკუის სწავლება არავისგან სჭირდება და ვინმესთვის არც საკუთარი მოგების გაყოფა სურს. თუ ვინმეს წილში ჩაჯდომა უნდა და ამიტომ უნდა დაბლოკოს, ცხადია, ქვეყანა შორს ვერ წავა.

— ბატონო დავით, ბოლო დროს, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების თემაც გააქტიურდა. ეკონომიკური თვალსაზრისით, რამდენად გამართლებულია ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარება მაისის ბოლოს ან, თუნდაც, შემოდგომით?

— საერთოდ, ქვეყანა საკუთარი პოლიტიკური კალენდრით უნდა ცხოვრობდეს, კონსტიტუციითა და შესაბამისი საარჩევნო კანონმდებლობით. ნებისმიერი გადახრა, იგივე ინვესტორებისთვის ნეგატიურ სიგნალად აღიქმება. ყველამ კარგად იცის, საარჩევნო წელს ინვესტორები თავს იკავებენ ინვესტიციების ჩადებისგან, რადგან არჩევნების დასრულებას ელიან. ამიტომ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების თემით მუდმივი აპელირებაც ერთ-ერთი ფაქტორია, რის გამოც ქვეყანაში ინვესტიციების რაოდენობა შემცირდა. როგორც კი გააქტიურდება თემა, რომ შემოდგომით არჩევნები უნდა ჩატარდეს, ეს ინვესტორს აფრთხობს, რომელიც ცხადია, არჩევნების შედეგებს დაელოდება და შემდგომ გადაწყვეტს, განახორციელოს თუ არა ინვესტიცია.

ვერსიანიუსი

სამართალდამცავებმა თაღლითობისთვის ძებნილი დააკავეს

შსს-ს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს საგარეჯოს რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა საგარეჯოს რაიონული სამმართველოს მიერ 2014 წლის 29 დეკემბრიდან თაღლითობის ბრალდებით ძებნილი, 1977 წელს დაბადებული ვუგარ მ. დააკავეს.

ვუგარ მ. 2014 წლის მაისში თაღლითურად დაეუფლა თავისი თანასოფლელის, საგარეჯოს რაიონის სოფელ ლამბალოში მცხოვრები მოქალაქის კუთვნილ 4 700 ლარს. 2014 წლის 29 დეკემბერს სიღნაღის რაიონულმა სასამართლომ ვუგარ მ-ს დაკავების შესახებ განჩინება გამოიტანა და აღკვეთის ღონისძიების სახით წინასწარი პატიმრობა დაუსწრებლად შეუფარდა.

სამართალდამცველებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ბრალდებული საგარეჯოს რაიონის სოფელ ლამბალოში დააკავეს. ამ დროისთვის ვუგარ მ. სასჯელაღსრულების §8 დაწესებულებაშია შესახლებული.

გამოძიება თაღლითობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით).

„ვერსიანიუსი“

ვახტანგ ბუცხრიკიძემ თიბისი ბანკის 2014 წლის შედეგები შეაჯამა

ყველაზე მსხვილი IPO ლონდონის საფონდო ბირჟაზე, ცვლილებები მენეჯმენტში და საერთაშორისო აღიარება — საუკეთესო ბანკი ქვეყანაში!

თიბისი ბანკის გენერალურმა დირექტორმა, ვახტანგ ბუცხრიკიძემ 2014 წლის შედეგები შეაჯამა. მისი თქმით, 2014 წლის მანძილზე, ძირითადი მიღწევები ასეთია: თიბისი ბანკი №1 ბანკი გახდა საცალო ბაზარზე, რადგან ფიზიკური პირების დეპოზიტებისა და სესხების მიხედვით, 33.7% -იანი წილი აქვს დეპოზიტების ბაზარზე, ხოლო 29.7%-იანი წილი — სესხების ბაზარზე; ქართულ კომპანიებს შორის, ბანკმა ყველაზე მსხვილი განთავსება განახორციელა ლონდონის საფონდო ბირჟაზე; წარმატებით დაასრულა ბანკი კონსტანტას შერწყმა და მიკროფინანსირების პორტფელი 40 000 000 ლარით გაზარდა.

თიბისი ბანკის გენერალური დირექტორის, ვახტანგ ბუცხრიკიძის განცხადებით, 2014 წლის განმავლობაში, ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები დინამიურად გაიზარდა და მაქსიმალურ შედეგს მიაღწია. კერძოდ, 2014 წლის დეკემბრის მდგომარეობით, მთლიანი აქტივები 5 მილიარდ 423 მილიონ ლარამდე გაიზარდა, კლიენტებზე გაცემული სესხების ოდენობა — 3 მილიარდ 706 მილიონ ლარამდე, კლიენტების ანგარიშებმა 3 მილიარდ 322 მილიონ ლარს მიაღწია, ხოლო სააქციო კაპიტალმა — 1 მილიარდ 19 მილიონ ლარს:

„2014 წლის მანძილზე, საცალო სესხები 38.0%-ით გაიზარდა, ხოლო საცალო დეპოზიტები — 22.8%-ით. კორპორატიულ სესხებში წლიურმა ზრდამ 6.4% შეადგინა, ხოლო დეპოზიტებში — 1.6%. 36%-იანი ზრდა იყო მცირე და საშუალო ბიზნესის სესხებში, დეპოზიტებში კი — 12.4%. რაც შეეხება მიკროსეგმენტს, ბანკი კონსტანტას შერწყმის შემდეგ, მიკროფინანსირება თიბისი ბანკის ერთ-ერთ, პრიორიტეტულ მიმართულებად ჩამოყალიბდა. შედეგად, თიბისი ბანკმა მიიღო გადაწყვეტილება, შეესყიდა პროკრედიტ ბანკის 40 000 000 ლარამდე მოცულობის სასესხო პორტფელი, რაც საშუალებას მოგვცემს, განვვითარდეთ რეგიონებში და გავზარდოთ ბაზრის წილი მიკროსეგმენტში“, — განაცხადა ვახტანგ ბუცხრიკიძემ.

მისი თქმით, 2014 წელს, თიბისი ბანკმა ქართული კომპანიის ყველაზე მსხვილი IPO — აქციები ლონდონის საფონდო ბირჟაზე განათავსა. IPO-ს შედეგად, თიბისი ბანკმა 259 000 000 აშშ დოლარი მოიზიდა და კომპანიის ღირებულება 640 000 000 აშშ დოლარამდე გაზარდა.

2014 წელს, თიბისი ბანკის მენეჯმენტში ცვლილებები განხორციელდა. სხვადასხვა მიმართულებების სამართავად, თიბისი ბანკმა მსოფლიოს წამყვანი ბანკების — Barclays, Deutsche Bank, Unicredit Group-ის ტოპ მენეჯერები მოიწვია: გიორგი თხელიძე — რისკების მართვის დირექტორად, ნიკოლოზ ქურდიანი — მიკრობიზნესის მართვის დირექტორად და დავით წიკლაური — კორპორატიული საბანკო ბიზნესის მართვის დირექტორად.

2014 წელს, თიბისი ბანკმა არაერთი აღიარება მოიპოვა სხვადასხვა პრესტიჟული უცხოური გამოცემისგან: Global Finance, Euromoney, EMEA Finance და The Banker and PWM. ვახტანგ ბუცხრიკიძის განცხადებით, თიბისი ბანკის სახით, ქართულმა ბანკმა პირველად მიიღო ჯილდო ორ კატეგორიაში: საუკეთესო პერსონალური საბანკო მომსახურება (The Banker and PWM) და საუკეთესო სოციალური პასუხისმგებლობის მქონე ბანკი (EMEA Finance Europe Banking Awards).

2014 წელს, თიბისი ბანკი სოციალური პასუხისმგებლობის მიმართულებითაც აქტიურობდა. ტრადიციულად, კულტურისა და ხელოვნების მხარდასაჭერად, ბანკმა რამდენიმე მსხვილი პროექტი განახორციელა. კერძოდ, ლიტერატურული პრემია „საბას“ დაჯილდოებისთვის, ექსკლუზიური პროექტი „ეპოქის ხმები“ შექმნა, რომელიც „ოქროს ფონდის“ ჩანაწერებზე აიგო. „ეპოქის ხმებისთვის“ ქართველმა ხელოვანებმა მუსიკალური ნაწარმოებები, ქორეოგრაფიული ნომრები და ორიგინალური მხატვრობა შექმნეს. დაჯილდოების ცერემონია ერთ-ერთი გრანდიოზული იყო „საბას“ ისტორიაში.

2014 წელს, თიბისი ბანკმა, მის მიერ ინიცირებული კულტურული და საზოგადოებრივი მნიშვნელობის პროექტების დაფინანსება გააგრძელა. მათ შორის, ელექტრონული წიგნების სახლი „საბა“, არხი კულტურაზე „არტარეა“, ასევე დააფინანსა ქართველი ხელოვანების საზღვარგარეთ პოპულარიზაციის არაერთი ინიციატივა. თანამედროვე ხელოვანთათვის კი თავისუფალი არტსივრცე შექმნა, რომელიც პირველი „არტ კედელია“ ქალაქში. 2014 წელს, პირველად საქართველოში, თიბისი ბანკის სახით, კერძო ბიზნესი კინოს დაფინანსებაში ჩაერთო და კინოცენტრთან ერთად, ერთობლივი პროექტიც განახორციელა.

მაია მიშელაძე

თბილისში ნატალია კვანტალიანის ევროსტანდარტების ქართულ-ჰოლანდიური კლინიკა იხსნება

თბილისში მნიშვნელოვანი სიახლეა — 6 თებერვალს, ქავთარაძის ქუჩაზე, კერძოდ, 21ᵃ-ში, ნატალია კვანტალიანის ქართულ-ჰოლანდიური კლინიკა გაიხსნება. რატომ არის ეს სიახლე მნიშვნელოვანი? — იმიტომ, რომ ევროსტანდარტების შესაბამისი ლაბორატორია, სადაც კლინიკურ, სეროლოგიურ, იმუნოლოგიურ, ბიოქიმიურ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევებს უახლესი აპარატურით პროფესიონალი მედპერსონალი ჩაგიტარებთ, 2-წლიანი დაუღალავი შრომის შედეგია. ასე რომ, ნატალი კვანტალიანის ქართულ-ჰოლანდიურ კლინიკაში, რომელსაც ნათია ტოკლიკიშვილი ხელმძღვანელობს, ყველა დეტალი გათვლილი და აწონილ-დაწონილია.

ყველაფერი კი, ასე დაიწყო: ჰოლანდიური კომპანია Enraf-Nonius BV და ჰოლანდიის სახელმწიფო ფონდი Stichting Ingenhousz მოწადინებულნი იყვნენ, საქართველოში, როგორც განვითარებად ქვეყანაში, ევროსტანდარტების ლაბორატორია გაეხსნათ (ჰოლანდიას ამ კუთხით დიდი გამოცდილება აქვს) და პარტნიორობა ბიზნესმენ ნატალია კვანტალიანს შესთავაზეს. ქალბატონმა ნატომ, რომელსაც საქართველოში ყველაზე ძველი სისხლის ცენტრალური ბანკის აღდგენა-აღორძინება უკავშირდება, ჰოლანდიური შეთავაზება მიიღო და ქართულ-ჰოლანდიური პროექტი, რომელშიც სოლიდური ინვესტიცია ჩაიდო, რეალობად აქცია.

„სამუშაო პროცესს ჰოლანდიური მხარე ყოველთვიურად ამოწმებდა და ყველა ეტაპი პროექტის გეგმის შესაბამისად შესრულდა. სხვათა შორის, ლაბორატორიამ ხარისხის მენეჯმენტის სისტემაში ISO 9001: 2008 სერტიფიკატიც აიღო, რითიც, რა თქმა უნდა, ვამაყობთ“, — აცხადებს „ნატალია კვანტალიანის სახელობის სისხლის ცენტრალური ბანკის“ დამფუძნებელი და მფლობელი, ბიზნესმენი ნატალია კვატალიანი.

კლინიკის დირექტორის, ნათია ტოკლიკიშვილის თქმით, ნატალი კვანტალიანის ქართულ-ჰოლანდიური ლაბორატორია ისეთი თანამედროვე აპარატურითაა აღჭურვილი, როგორიცაა Roche Diagnostics-ის ანალიზატორები და Abbott Architect-ის აპარატი. სხვათა შორის, Abbott Architect-ის აპარატი, რომელიც უსაფრთხო სისხლის პროგრამის ფარგლებში, დონორთა სხვადასხვა ინფექციაზე გამოკვლევას ემსახურება, საქართველოში მხოლოდ ორია.

ნათია ტოკლიკიშვილი პროფესიით ექიმი არაა, მაგრამ პროექტში მისი დაწყებისთანავე ჩაერთო. ახლახან კი, ნატალია კვანტალიანმა ქართულ-ჰოლანდიური კლინიკის დირექტორად დანიშნა.

„მართალია, პროექტში თავიდანვე ჩართული ვარ და დიდი ცოდნა-გამოცდილებაც მივიღე, მაგრამ არ ველოდი, ქალბატონი ნატალია კვანტალიანი ოფიციალურ გახსნამდე კლინიკის დირექტორობას თუ შემომთავაზებდა. მართალია, ექიმი არ ვარ, მაგრამ ამ წინადადებას მაინც დავთანხმდი, რადგან ქალბატონი ნატალისგან აბსოლუტურ მხარდაჭერას ვგრძნობ. ვეცდები, მისი და ჩვენი ლაბორატორიის პროფესიონალთა გუნდის ნდობა გავამართლო“, — ამბობს ნატალია კვანტალიანის ქართულ-ჰოლანდიური კლინიკის ხელმძღვანელი ნათია ტოკლიკიშვილი.

ჯანმრთელობა ყველაფერი არაა, მაგრამ ჯანმრთელობის გარეშე ყველაფერი არაფერია, — ამბობდა მედიცინის ერთ-ერთი ფუძემდებელი. ჰოდა, ნატალია კვანტალიანის ქართულ-ჰოლანდიური კლინიკაც იმიტომ გაიხსნა, ყველაფერი არაფრად რომ არასოდეს იქცეს — ნატალია კვანტალიანის ქართულ-ჰოლანდიურ კლინიკა-ლაბორატორიაში ჩატარებული სხვადასხვა გამოკვლევისას, ანალიზის ზუსტ, უტყუარ პასუხს მიიღებთ. ასე რომ, ნატალია კვანტალიანის ქართულ-ჰოლანდიური კლინიკა მშვიდი და ჯანსაღი ცხოვრების გარანტიაა!

რატომ გააუპატიურა მკვლელმა „პაღძელნიკი“

პატიმარი №0578

მან, ვინც სასჯელაღსრულების დაწესებულებათა ბინადარი ერთხელ მაინც ყოფილა, ზუსტად იცის, რას გადის პატიმარი იქამდე, ვიდრე საკანში მოხვდება: ჯერ წინასწარი დაკავების იზოლატორია, ე.წ. კაპეზე, შემდეგ — ციხის კარანტინი, მერე უკვე — საკანი. თუ სასამართლო სასჯელს შეუფარდებს, ციხიდან პატიმარი ზონაზე გადაჰყავთ ან, უარეს შემთხვევაში, დახურულ დაწესებულებაში, ე.წ. კრიტში, რომელიც თავისი პირობებით მკაცრია. ამ გზის გავლა გარდაუვალია და ძველმა პატიმრებმა იციან ხოლმე თქმა, რამდენჯერმე ნასამართლევი პირი პირდაპირ ციხეზე რომ მიიყვანონ, უკეთესი იქნება, რადგან ყველაფერი ეს კომუნისტების დროს იმიტომაა მოფიქრებული, ციხეში პირველად მოხვედრილი ადამიანი გარემოს შეეგუოს და არ გაგიჟდესო. თუ ციხის საკანში რომელიმე პატიმარი რამეს აშავებს, ის ჯერ კარცერში, მერე კი ისევ კარანტინში მიჰყავთ და 12 კვადრატულ მეტრში, 30 პატიმართან ერთად, ორი კვირა აჩერებენ...

„არ მაქვს ამათი ბლატაობის თავი, პატიმარი №0578 და რეზო კარანტინში, სასწრაფო წესით“, — გლდანის ციხის ერთ-ერთმა გამორჩეულმა ჯალათმა, გოგა ბუთლიაშვილმა ორი პატიმარი კარანტინის გზას მარტივად გაუყენა. ორივე საკარანტინო ნაწილში ჩაიყვანეს, ნომერმეხუთე საკანი გაუღეს და შეყარეს. პრინციპში, შეყარეს ხმამაღალი ნათქვამია — 12 კვადრატულში 27 პატიმარი უკვე იჯდა. ახლადმოყვანილებმა ძველებს ინტერესით დაუწყეს თვალიერება და ვიდრე რამეს იკითხავდნენ, ხმა №0578-მა ამოიღო: „ეს ვინ არის, პარაშის შესასვლელთან რომ ზის და თავ-პირი აქვს გაერთიანებული?“

„მწყემსია. თუ გაგიგიათ, ამას წინათ, ორი მწყემსი რომ მოკლა, ცხვრები მოპარა, მერე, 14 წლის ბიჭი გააუპატიურა... ის არის. სხვა საკნებში არ გააჩერეს, ცემდნენ და აქ შემოაგდეს, პარაშასთან ზის და ხმას არ იღებს“, — მიუგეს პატიმრებმა.

„ჩამოწეული, ჩვენს გარდა, ვინ არის კიდევ?!“ — ყვირილით იკითხა რეზომ.

„არავინ“, — დაფრთხნენ პატიმრები.

„სირებო, თქვენ, სირებო“, — იღრიალა რეზომ და პარაშასთან მჯდომ პატიმარს მიეჭრა, მოქნეული ფეხი სახეში ჩააზილა და როცა ღრიალით გადავარდა, უმოწყალოდ ცემა დაუწყო. პატიმრები გაოცდნენ, №0578-მა კარზე დააბრახუნა და როცა გააღეს, ოფიცერს უყვირა: „ეს რომ აქ დაგვისვით და ჩამოგვიყვანეთ, სროკი გინდათ დავიმატოთ? გაათრიეთ აქედან, თორემ ცოტა ხანში გასატანი გეყოლებათ“.

რეზო უმოწყალოდ აგრძელებდა ცემას, ვიდრე რამდენიმე ოფიცერმა პატიმარი კამერიდან არ გაათრია. კარი ჩაკეტეს. რეზო და №0578 ახლა დანარჩენებს მიუბრუნდნენ.

„იმდენი რატომ არ იფიქრეთ, სხვა საკნებში რატომ არ გააჩერეს ეს კაცი?! ამასთან ერთად როგორ სუნთქავდით? ცხვრის გულისთვის კაცის მკვლელობას თავი რომ დაანებოთ, 14 წლის ბიჭი გააუპატიურაო... გული არ გერეოდათ?! სისხლი არ გაქვთ?! სად დაიბადეთ, სად გაიზარდეთ? რად უნდა ამას კაიბიჭობა და ქურდული, ადამიანობა ხომ გაქვთ?!“ — ღრიალებდა რეზო.

„მომისმინეთ. ეს კაცი საქათმის პასაჟირია და აქ ყველამ იცის. საქათმის პასაჟირი კიდევ კამერაში რომ გყავთ, არ არის კარგი. მარტივი წესია: დაუშავა ისეთი რამ, რაც არც ერთ მორალში არ ჯდება, უნდა დაისაჯოს. აქ რომ შემოაგდეს ნაცემი, რომ გითხრეს, სხვა კამერები არ აჩერებენო, ერთმა რატომ არ იკითხა, რისი გულისთვის გაილახა სხვაგან? ასეთ რამეებს თუ არ დაუკვირდით, გაგიჭირდებათ. ხომ ხედავთ, ოფიცრებმაც იცოდნენ, რომ გასაჩერებელი არ იყო, უბრალოდ, ცალკე ჩასმა ეზარებათ, მერე უნდა უთვალთვალონ, უყარაულონ, თავს არაფერი აუტეხოს. ამიტომ შემოგაჩეჩეს“, — აუხსნა №0578-მა.

ნახევარი წლის შემდეგ, რეზო და №0578 რუსთავის №17 ზონაზე წაიყვანეს. ბიჭებმა იმდენი ქნეს, ერთ საკანში მოხვდნენ და როცა ორი დღის შემდეგ კამერის დასალაგებლად ოფიცერმა ქათამი შემოიყვანა, მეგობრებმა ერთმანეთს გადახედეს — მათ წინ სწორედ ის აზერბაიჯანელი მწყემსი იდგა, საკარანტინო განყოფილებაში სიკვდილამდე რომ მიიყვანეს. რეზოს დანახვაზე აზერს მუხლები მოეკვეთა და ოფიცერს მუდარის თვალით შეხედა. ის ჯერ ვერაფერს მიხვდა, მერე კი, როცა ქათამმა ტირილი დაიწყო, ბიჭებს კითხვის თვალით შეხედა.

„არაფერი, ციხეზე შევხვდით ერთმანეთს და მისაღები მიიღო. აქ ხელს არ დავადებთ, უპოვია თავის საქმე. უთხარი, საკანს რომ დაალაგებს, მერე პარაშა გააპრიალოს, თორემ შიგ თავით ჩავაყუდებ“, — თქვა რეზომ და კამერიდან გავიდა.

პატიმარი №0578 საკანში დარჩა, ნარზე აძვრა და იქიდან დაუწყო ყურება, როგორ ალაგებდა საკანს აზერბაიჯანელი. ცოტა ხნის შემდეგ ჰკითხა, რა გქვიაო და იმანაც ჩაილუღლუღა, მაგამედი.

„მომისმინე, მაგამედ. აგერ, 40 წელზე მეტის იქნები, თითქოს ნორმალური კაცი ხარ და ცხვრის გულისთვის ორი ადამიანი რამ მოგაკვლევინა, ან ის ბიჭი როგორ გააუპატიურე? რა დაგემართა, შეგიძლია, მითხრა? სადამდე მიგიყვანა მაგან, კი ხედავ და უარესის ღირსი რომ ხარ, ისიც იცი. ისე, რამდენი მოგისაჯეს ყველაფერ ამაში“, — ჰკითხა №0578-მა.

„30 წელი მომცეს, თითო მკვლელობაზე — 15“, — ჩუმად თქვა მაგამედმა.

„და გაუპატიურებაზე არაფერი? შეგერგოსო?!“ — დაუღრიალა №0578-მა.

„არა, გაუპატიურება არ დამიმტკიცდა, თანამზრახველობა იყო და იმ ბიჭს მისცეს რვა წელი, მეტი არ შეიძლებაო“, — თქვა აზერმა.

„რაზე? რა თანამზრახველობაზე? ბიჭი გააუპატიურე და თანამზრახველობა რა შუაშია?! გეხმარებოდა საკუთარი თავის გაუპატიურებაში?!“ — გაოცდა №0578.

„არა, გაუპატიურებაში არა, მკვლელობაში“, — ჩუმად თქვა მაგამედამ.

„დააგდე ეგ ცოცხი და აქ მოეთრიე. დადექი და მოყევი, რა და როგორ იყო“, — უღრიალა №0578-მა.

აზერბაიჯანელი პატიმარი წელმოწყვეტილი მივიდა ნართან, თავი დახარა და დაიწყო:

„იმ მწყემსებს მე და ის ბავშვი, ჩემი მეზობლის შვილი, დაქირავებული ვყავდით. ჩვენ ცხვარსაც მათთან ვაძოვებდით და თან გვიხდიდნენ. ერთ დღეს, ორი ქალი ამოიყვანეს, მთელი საღამო გაერთნენ იმათთან ერთად, ჩვენ კი ახლოს არ გაგვაკარეს. გავბრაზდი, ისიც გაბრაზდა და როცა ის ქალები წავიდნენ, გადავწყვიტეთ, ამათთვის ცხვარი წაგვერთმია. მე წავედი, კლიენტი ვნახე, 300 სულს ერთიანად რომ იყიდდა და დავბრუნდი. თოფი ავიღე, ჯერ ერთს ვესროლე, მერე — მეორეს და ორმოში ჩავყარე. მერე ბენზინი გადავასხი და ცეცხლი წავუკიდე. ცხვარი გავრეკე და გავყიდე. უკან რომ დავბრუნდი, ის ბიჭი აღარ დამხვდა. შემეშინდა, სადმე იტყვის-მეთქი და სახლში მივადექი, მშობლებმა გამომატანეს, იცოდნენ, ერთად ვმუშაობდით. გზაში ვუთხარი, არ გენდობი-მეთქი. შეეშინდა, მეც მომკლავსო და მითხრა, ყველაფერზე თანახმა ვარ, რასაც მეტყვი, ოღონდ არ მომკლაო. მაშინ მოვიფიქრე, რომ უნდა „მეხმარა“. ვუთხარი, თუ მკვლელობის ამბავს მოყვები, მე იმას მოვყვები, რომ ნახმარი ხარ-მეთქი. კარგიო და იქ, ჩვენს სადგომში... მერე გამოძიება დაიწყო და მე დასაკითხად წამიყვანეს. სოფელში ხმა გავარდა, მაგამედა მკვლელობაზე დაიჭირესო. შეეშინდა იმ ბიჭს და მშობლებს მოუყვა ეს ამბავი. იმათ კიდევ — პოლიციას და ასე გაიხსნა საქმე. სასამართლომ გაუპატიურება არ დამიმტკიცა, არასრულწლოვანის გარყვნა თუ რაღაც თქვეს, მაგრამ არც ეს დამიმტკიცეს“,— დაასრულა მოყოლა მაგამედამ.

„და ის ბიჭი ახლა მალალეტკებშია?!“ — წართმეული ხმით ჰკითხა №0578-მა.

„ჰო, ალბათ, იქ იქნება“, — მხრები აიჩეჩა აზერმა და დალაგება განაგრძო.

№0578 ნარიდან ჩამოხტა და მაყურებლებთან ჩავიდა.

„მალალეტკების ზონაზე ქსივის გაგზავნა მინდა. ერთი აზერი პატიმრის ბედი მაინტერესებს, სად არის, როგორ არის“, — უთხრა მაყურებლებს.

„გავგზავნით, მაგრამ ხომ იცი, მინიმუმ, ერთი თვე უნდა პასუხს“, — უთხრეს მაყურებლებმა.

„ერთი თვე კი არა, იმდენი წელი მაქვს მისჯილი, ხელის თითები არ მყოფნის. დაველოდები“, — მშვიდად თქვა №0578-მა და წერას შეუდგა.

ერთი თვის შემდეგ, „მალალეტკების“ ზონიდან პასუხი მოვიდა, სადაც ერთადერთი სიტყვა ეწერა: „საქათმეშია!“

წერილი რედაქციას

„ექიმი ღმერთისგან“

მე ვარ ერთი რიგითი, ავადმყოფობით გადაღლილი 50 წლის ქალი, პირველი ჯგუფის ინვალიდი, ბავშვთა ცერებრალური დამბლით დაავადებული მაია ჯინაშვილი. 2006-2014 წლებში ვმკურნალობ წმინდა ანას და იოაკიმეს სამკურნალო ცენტრში. მრავალჯერადად გაკეთებული მაქვს სხვადასხვა ოპერაცია. ჩემი მკურნალია დათო ლაგაზიძე. მისი პროფესიონალიზმის, გულისხმიერების, მაღალი ზნეობის, ადამიანური თვისებების გამო, ერთხელაც არ გამჩენია სურვილი, წავსულიყავი სხვა კლინიკაში კი არა, სხვა ექიმთანაც კი.

მისი შრომის დამსახურებაა, რომ დღეს ცოცხალი ვარ და, მეტ-ნაკლებად, ჩვეულებრივი ცხოვრებით ვცხოვრობ. მართალია, არის პრობლემებიც, მაგრამ ვიცი: დათო ექიმი, შეძლებისდაგვარად, ყველაფერს მოაგვარებს, დამეხმარება დღის და ღამის ნებისმიერ დროს.

ბევრჯერ ყოფილა ჩემს ცხოვრებაში წუთები, მიფიქრია: „ყველაფერი ცუდადაა და დამთავრდა“, მაგრამ არა — ბატონი დათო და ქირურგიის მთელი განყოფილება, დაირაზმება, ძალასა და ენერგიას იკრებს და აკეთებენ ოპერაციას, რომელმაც თუნდაც რამდენიმე თვით უნდა შემიმსუბუქოს მდგომარეობა, გაუსაძლისი ტკვილი...

როგორ არ ვიყო ამ თეთრხალათიანების მადლობელი? როდესაც კლინიკაში მივდივარ, ყველა მითანაგრძნობს, ჩემი ესმით. შეძლებისდაგვარად მეხმარებიან. არაერთხელ ყოფილა იმედგაცრუების მომენტიც, ბევრი სკეპტიკურად უყურებდა და ახლაც უყურებს, რომ რამე შეიძლება გაკეთდეს. ხუმრობითაც კი უთქვამთ: „რაღა დაგრჩა ამოსაჭრელი?“

მეც ვპასუხობ: „თავი, მაგრამ თუ საქმე ამით გამოსწორდება და, მით უფრო, თუ დათო ექიმი ჩათვლის საჭიროდ, მაგაზეც თანახმა ვიქნები იმიტომ, რომ ისეთს არაფერს გააკეთებს, რაც დამაზარალებს“. აი, ასე, ცრემლნარევი ხუმრობით და ოპტიმიზმით გავიარე აგერ, თითქმის 9 წელი. დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ მცდელობას არ დააკლებენ, კიდევ რამდენიმე წლით გამიხანგრძლივონ სიცოცხლე. არადა, ამ კლინიკაში მოხვედრა ნამდვილად ღმერთის ნაკარნახევი იყო. 1 თვის განმავლობაში ვმკურნალობდი სხვა პრესტიჟულ კლინიკაში. ტკივილებისგან გაწამებულმა ვთქვი, არ წამოვალ სახლში, სხვაგან წამიყვანონ-მეთქი.

ბედად, გაგვახსენდა ორთაჭალის ძალიან ლამაზი ადგილი. ვიცოდით, რომ იქ ძალიან ძლიერი, გამოცდილი ექიმებითა და ექთნებით დაკომპლექტებული კოლექტივი მუშაობდა. მივედით. შესვლისთანავე განვიმსჭვალე ნდობით. განსაკუთრებით ბატონი დათოს მიმართ. აქედან დაიწყო ჩვენი მეგობრობაც, დაუღალავი შრომა და ბრძოლა. მადლობელი ვარ ქირურგიის განყოფილების ახალგაზრდა გამგის, ხვიჩა ხაჯაველიძის, რომლის დამსახურებაა, რომ განყოფილება საათის მექანიზმივით ზუსტად მუშაობს. როგორც ეს იყო წლების წინ. ეს ტრადიციაა. არ არსებობს პაციენტი, რომელიც ამ კლინიკიდან უკმაყოფილო წავა. თუნდაც განწირულებს აიმედებენ სიტყვიერად თუ საქმით, არ აკლებენ მცდელობას, მძიმე პაციენტს მისცენ გადარჩენის შანსი. ცდილობენ გააკეთონ ყველაფერი, შეუძლებელიც კი და მინდა გითხრათ, არცთუ ცუდად.

მე მრავალწლიანი გამოცდილება მაქვს სხვადასხვა ქვეყანასა თუ ქალაქში (მათ შორის, საქართველოს ფეშენებელურ პრესტიჟულ კლინიკებში) მკურნალობის, მაგრამ არსად შევხვედრილვარ, არსად მინახავს ასეთი ახლობლური, შინაურული ამასთანავე საქმიანი დამოკიდებულება 40 წლის განმავლობაში. ეს კლინიკა ემსახურება ხალხის ჯანმრთელობას. მას საფუძველი ჩაუყარა ნიკოლოზ ბარნოვმა (რომლის სახელსაც ცოტა ხნის წინ ატარებდა). მის საქმეს კი ღირსეულად აგრძელებს მისი ქალიშვილი მარიკა ბარნოვა, რომელმაც არ დააკლო მცდელობა, თანამედროვე სტანდარტებისთვის მიეახლოებინა კლინიკის არა მარტო ვიზუალური, არამედ, ტექნიკური აღჭურვა. ახლაც გრძელდება ეს განახლება ბატონი ირაკლი სასანიას თაოსნობით.

არ შემიძლია, არ აღვნიშნო, რომ აქ მომუშავე არც ერთი ექიმი არ დაიწყებს თავმოწონებას. აქ პროფესორიც კი უბრალოდ ექიმია და ამით ნათქვამია ყველაფერი. აქ თითქმის ყველაზე განურჩევლად შეიძლება ითქვას ორი სიტყვა: „ექიმი ღმერთისგან“ და ეს ყველაზე დიდი რეგალიაა ყოველი მათგანისთვის. წარმატებები, მოწინებით და მადლიერებით, მდაბლად გიხრით თავს, ბატონებო და ქალბატონებო! თქვენი იმედი ნუ მოუშალოს ტკივილისგან გათანგულ, მაგრამ იმედის თვალით მომზირალ პაციენტებს.

მრავალჟამიერ გუგუნებდნენ თქვენი სახელები და საქმეები მით უფრო ახლა, როცა სიცოცხლის დაბადების საქმესაც ემსახურება თქვენი, მე ვიტყოდი, ტკივილითა და იმედით სავსე სავანე.

მაია ჯინაშვილი

წერილი, რომელიც ყველა რუსეთუმე ქართველმა უნდა წაიკითხოს!

„ვაღოდია, გვიშველე!“ — სეპარატისტი ქალი, რომელიც პუტინს შველას სთხოვდა, პუტინის ჭურვმა იმსხვერპლა!!!

ნინო ლურსმანაშვილი
593-51-52-04

მარიუპოლის მკვიდრი, ოლგა აბდურაშიტოვა მათი თანამოაზრე იყო, ვინც უკრაინაში მაიდნის საპირისპირო მოძრაობები დააფუძნა. მას „ყველაფერი რუსულის მოყვარული“ ქალიც კი შეარქვეს, რადგან თვეების განმავლობაში, სოციალური ქსელის საშუალებით, პუტინს ისტერიულად სთხოვდა უკრაინაში ჯარის შეყვანასა და შველას. 24 იანვარს კი, მისი სახელი და გვარი იმ ადამიანთა სიაში მოხვდა, რომლებიც მარიუპოლის დაბომბვისას დაიღუპნენ. დაჭრილებს შორის 2012 წელს დაბადებული გოგონაცაა, რომელიც დაუზუსტებელი ინფორმაციით, შესაძლოა, სეპარატისტი ოლგას შვილი იყოს. უკრაინის შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, „ყველაფერ რუსულის მოყვარული“ ქალის ცხედარი, მარიუპოლის დაბომბვის შემდეგ, კიევის ქუჩაზე, ბაზართან აღმოაჩინეს. სავარაუდოდ, ოლგა ბაზარში პროდუქტის შესაძენად მიდიოდა. 24 იანვარს, მარიუპოლის აღმოსავლეთ ნაწილში, რუსული ჭურვების შედეგად, 30 ადამიანი გარდაიცვალა, მათ შორის — 2 ბავშვი. დაახლოებით, 100 ადამიანი დაჭრილია. ოლგა აბდურაშიტოვას გარდაცვალებას სოციალურ ქსელში თითქმის იდენტური რეაქციები მოჰყვა — ახალგაზრდა, ლამაზი ქალი, სასიკვდილოდ არავის ემეტება, მაგრამ ხალხი წერს, უფლის რისხვა დაატყდა თავს, პუტინს უკრაინაში ჯარის შეყვანა რომ სთხოვა, იმიტომაც დაიღუპა პუტინისვე ჭურვითო.

პუტინს დახმარება, რამდენიმე დღის წინ, ქართველებმაც სთხოვეს. უკვე მერამდენე ქართული სირცხვილი — ეპითეტად ეს წინადადება გამოდგება იმ აქციისთვის, რომელიც ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კირნათის მაცხოვრებლებმა ჩაატარეს. აქციის ამსახველი ვიდეო სოციალურ ქსელში გავრცელდა — მამაკაცებმა, თოვლში, რუსეთის დროშები გამოფინეს და ვალოდიას შველა სთხოვეს. საქართველოს რუსეთუმე მოქალაქეები რუსული სულისკვეთების დემონსტრირებისთვის წელსზემოთ გაშიშვლდნენ და ტანი თოვლით დაიზილეს. ალბათ, აქციის დაწყებამდე „ვოდკაც ჩაუფინეს“ და გამბედაობა მოიკრიბეს, „გრუზინულად“, ისე ომახიანად რომ ეღრიალათ, მათ მუდარას კრემლის ცივ კედლებში შეეღწია. რა ვქნათ, ბატონო, ქართული მიწები თურქებზე იყიდება, ადგილობრივ ხელისუფლებას დიდი ხანია, ვთხოვთ, ეს არ დაუშვას, მაგრამ ყურადღება არავინ მოგვაქცია, ისევ ვლადიმეროვიჩი თუ გვიშველის და გვიპატრონოსო, — განაცხადეს სამარცხვინო აქციის ორგანიზატორებმა. სამარცხვინოა, აბა, რა არის: ერი დღემდე იმაზე რომ ვერ შეთანხმებულა, პუტინი მტერია, მოყვარე თუ მხსნელი. საქართველოში ასეთი აქცია რომ მოაწყო, ქვეყნის ისტორიას არ უნდა იცნობდე და სცნობდე, კომუნიზმის ნოსტალგია უნდა გტანჯავდეს, თანაც მხოლოდ იმიტომ, 10 კაპიკად ლიტრ რძეს რომ ყიდულობდი და 50 მანეთად რუსეთს რომ მოივლიდი „ფულ პაკეტით“, სადაც ბილეთის თანხაც შედიოდა, რუსული „ვოდკა-ვობლისაც“ და „ნაშებისაც“. ფეხზე უნდა გეკიდოს ქართული მიწაც, ამ მიწისთვის დაღვრილი გმირების სისხლიც, მათი ოჯახის წევრების ტკივილიც, დაკარგული სამაჩაბლო და აფხაზეთიც, შვილებისა და ქვეყნის მომავალიც... მონური ფსიქოლოგია უნდა გქონდეს, სამშობლოს შეგრძნება არ უნდა გაგაჩნდეს, ქართველი არ უნდა იყო, ვლადიმეროვიჩს, გვიშველეო, რომ სთხოვო! პუტინმა როგორ „გვიშველა“ 2008 წლის აგვისტოში, ეს არ უნდა გახსოვდეს და შუბლის ძარღვი გაწყვეტილი გქონდეს, მსგავსი სამარცხვინო პოზიცია შეაჩეჩო ქვეყნის მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას, რომელმაც დასავლური ორიენტაცია აირჩია.

იქნებ, მარიუპოლში, რუსეთუმე სეპარატისტი ქალის რუსული ჭურვისგან დაღუპვის ფაქტმა მაინც დააფიქროს საქართველოს ის მოქალაქეები, ჯერ კიდევ რომ სჯერათ, რუსეთს „ბაბაია“ უნდა დავუძახოთ, პუტინი კი, თავზე ხელს გადაგვისვამს და „გვიშველისო“. მტერს ეშველა ისე, პუტინი რომ გვიშველის. რუსეთი კი, საბედნიეროდ, ჩვენი ქვეყნის თითზე ჩამოსათვლელი მოქალაქეებისთვისაა „მხსნელი“.

მორწმუნეებს გზას მესიჯით დაულოცავენ

გერმანელ მორწმუნეებს, ვისაც შვებულებაში წასვლის წინ ან შორეული მგზავრობისთვის მღვდელმსახურის კურთხევის მიღება სურს, საამისოდ აუცილებლად ეკლესიაში წასვლა არ დაჭირდებათ. კათოლიკე პასტორი დიტმარ ჰერგი ქალაქ მაინციდან მრევლს ლოცვასა და კურთხევას მოკლე ტექსტური შეტყობინებით უგზავნის. გერმანელი ეპისკოპოსების კონფერენციის თანახმად, მორწმუნეებმა კურთხევის მისაღებად გარკვეულ ნომერზე მესიჯი უნდა გაგზავნონ სიტყვით „Reisesegen“ — „კეთილი მგზავრობა“. პასუხიც არ დააგვიანებს და რამდენიმე წუთში უკვე მშვიდად შეძლებენ გამგზავრებას. როგორც ამბობენ, ასეთი მომსახურება ჯერჯერობით უფასოა.

მარტოსულებს ტარაკნებზე ზრუნვას სტავაზობენ

აშშ-ში, სან-ფრანცისკოს ზოოპარკის ადმინისტრაცია მარტოხელა ადამიანებს, რომლებიც შეყვარებულებმა მიატოვეს, სთავაზობს, მზრუნველობა იკისროს მადაგასკარულ ტარაკნებსა და მორიელებზე. ზოოპარკის საიტზე აღნიშნავენ, რომ აქცია მოახლოებული ვალენტინობის გამო დაიწყო. მორიელის ან ტარაკანის სპონსორი რომ გახდეს ადამიანი, მან ერთგვარი შესაწირი უნდა შეიტანოს, არანაკლებ 25 დოლარისა. ამის შემდეგ ქველმოქმედს სახელობით სერტიფიკატს და ტარაკანის ან მორიელის რბილ სათამაშოს ჩუქნიან, რომელსაც შეუძლია ყოფილი შეყვარებულის სახელი დაარქვას. თუ გაგიმართლებთ, თქვენი შესაწირი კარმას გაგიწმენდთ და ცხოვრებაში მეტად არასოდეს შეხვდებით ტარაკანს, — ნათქვამია ზოოპარკის საიტზე. აღსანიშნავია, რომ ცხოვლებზე ზრუნვა საკმაოდ გავრცელებული პრაქტიკაა მსოფლიოს ზოოპარკებში. იმავე სან-ფრანცისკოში შეგიძლიათ ასეთივე სახით იზრუნოთ მარტორქაზე, ვარდისფერ ფლამინგოზე, ჟირაფზე, ლომზე ან ლეოპარდზე.

მობოდიშების სამსახური აამოქმედეს

ამომავალი მზის ქვეყანაში „მობოდიშების სააგენტოები“ მუშაობს, სადაც შეგიძლიათ, ფული გადაუხადოთ იმას, ვინც საჭირო ადამიანთან თქვენი სახელით მოიხდის ბოდიშს. ეს სააგენტოები საკუთარ თანამშრომლებს ასწავლიან განსხვავებულ ადამიანებთან ურთიერთობას იქიდან გამომდინარე, რამდენად სერიოზული იქნება სიტუაცია. ეს აგენტები პროფესიონალები არიან, მათ შეუძლიათ მოხერხებულად გამოიყვანონ კლიენტი ყველაზე უხერხული სიტუაციებიდან. მაგალითად, საყვარელს რომ დაშორდეთ, სააგენტოს შეუძლია მასთან გაგზავნოს თანამშრომელი, რომელიც თავს ტქვენს მეგობრად ან მშობლად გაასაღებს. ანდა აგენტებს შეუძლიათ დარეკონ თქვენს სამსახურში ცოლის სახელით და უფროსს უთხრან, რომ ავად ხართ, თუკი იმ დღეს არ გსურთ სამსახურში წასვლა. თუმცა, იაპონიაში „მობოდიშების სააგენტოს“ ბევრი აკრიტიკებს, რადგან ხალხს ადამიანური გამოცდილების არსებითი ნაწილის თავის არიდების საშუალებას აძლევენ. ამის მიუხედავად, სააგენტოს კლიენტები არ აკლია — მათი 40% 20-დან 40 წლამდე ასაკის ქალია, მობოდიშების ყველაზე პოპულარული მიზეზი კი ფულთან დაკავშირებული ან სასიყვარული ურთიერთობებში შექმნილი სიძნელეებია. ფასებიც იმისდა მიხედვით ვარირებს, რა ხასიათის მობოდიშებაა საჭირო. პირადად მობოდიშებაში სააგენტო 240 დოლარს იღებს, ტელეფონით ან ელექტრონული ფოსტით ასეთი „სერვისი“ კი 96 დოლარი ღირს.

1. მცდარი მხედველობითი, სმენითი, ან შეხებითი აღქმა
2. თვითმფრინავიდან გადმოსახტომი მოწყობილობა
3. კუბური ხალხური ცეკვა
4. პლანეტა ვენერას ძველი სახელი
5. მიკროორგანიზმის არსებობის დრ. ფორმა
6. ქვეყანა აღმოსავლეთ ევროპაში
7. მუსლიმანთა მარხვის თვე
8. გამოჩენილი ფრანგი დიზაინერი
9. ბოლქვიანი ყვავილი
10. კოორდინატთა სისტ. ერთ-ერთი ღერძი
11. ორშაურიანი მონეტა ძვ. საქარ.
12. ქალაქი კოლუმბიაში
13. ძლიერი ქარიშხალი წყნარ ოკეანეში
14. ხელოვნური პარკეტი
15. მატერიის ერთ-ერთი თვისება
16. სოფლური სახლი შვეიცარიის ალპებში
17. სომხეთ-თურქეთის საზიარო მთა
18. საკონდიტრო ნაწარმი
19. პატარა ტომარა
20. მიწის პატარა ნაკვეთი ძვ.რუსეთ.
21. ადამიანის მსგავსი მაიმუნი
22. სურათი ზღვის ხედით
23. ფრანგ. თეთრყურძნია-ნი ვაზის ჯიში
24. ევროპული ფეხბურთი აშშ-ში
25. პურის საცხობი ღუმელი
26. მტაცებელი ცხოველი
27. ვოლტერის ნამდვილი გვარი
28. იტალიის ოლქი ...-რომანია
29. ნადირობა აფრიკაში
30. ქალის ვარცხნილობის ტიპი
31. უბატონოდ დარჩენილი სამურაი
32. ჩეხური საავტომობ. კომპანია
33. მოპასანის სახელი
34. ვარშავის საფეხბურთო კლუბი
35. თვითმფრინავების სადგომი
36. (ძვ.) ჯარი, ლაშქარი
37. უნგრეთის ეროვნული ვალუტა
38. დამხმარე თეორემა მათემატიკ.
39. თხელი ქსოვილი
40. კეთილი სული
41. მუსიკ. ბგერის გრაფიკული ნიშანი
42. აზერბაიჯ. ეროვნული კერძი
43. ქრისტიან. წამებული არაბი
44. ინგლისური სქელი ლუდი
45. კლოუნის ნომერი ცირკში
46. ფაფა ბავშვის ენაზე
47. მნიშვნელოვანი აზრი, ჩანაფიქრი
48. ძლიერი შხამი, რომელსაც ინდიელები ხმარობდნენ ისრების მოსაწამლად
49. მარნის პატრონი „ღვინის ქურდებში"
50. მთიანი მხარე სამხრეთ რუსეთში
51. ლოცვის დასკვნითი სიტყვა
52. მსუბუქი მოკლენიჩბიანი ნავი
53. აკრობატ. ნახტომი სალტო-...
54. მაგარმერქნიანი მცენარე
55. ნესტის სუნი
56. ძაღლის ჯიში
57. სამხალე ბალახოვანი მცენარე
58. შეიარაღებული ბრძოლა
59. პატარა გამოქვაბული კლდეში
60. ერთეულოვანი ვექტორი
61. ხორბლეულის ნათესი

მასაჟი პითონებით

ფილიპინებზე, კუნძულ სებუზე ზოოპარკი მნახველებს სთავაზობს, მასაჟის უჩვეულო პროცედურა გაიარონ. უჩვეულო კი იმით არის, რომ მას ხუთმეტრიანი პითონები აკეთებენ. ასეთი მომსახურებით მიღებულ თანხას Cebu City Zoo ისევ ცხოველების მოვლასა და კვებაზე ხარჯავს. კლიენტს მასაჟს ერთდროულად ოთხი გველი უკეთებს, თოთეულის სიგრძე დაახლოებით ხუთი მეტრია, მათი საერთო წონა კი 250 კილოგრამს აღწევს. ზოოლოგები ირწმუნებიან, რომ ეს პროცედურა დადებითად მოქმედებს და კლიენტი ნამდვილად მოეშვება. თავიდან მნახველებს ეშინოდათ, მაგრამ სტუმრების უმრავლესობა, რომელთაც გაბედეს და „გასინჯეს" ეს მასაჟი, მეტად კმაყოფილი დარჩა, — აცხადებს ზოოპარკის მენეჯერი. მსგავს პროცედურას სებუს ზოოპარკი კლიენტებს ადრეც სთავაზობდა სპეცშეთავაზების სახით, ახლა კი ის მომსახურების მუდმივ მენიუში ჩართეს კლიენტების მრავალრიცხოვანი თხოვნის გამო.

ტელეპორტირება ინტერნეტით

გერმანელმა სწავლულებმა შეძლეს ტელეპორტაციის მგავსი რაღაცის გაკეთება, რომელსაც უკვე უწოდეს Scotty. ამბობენ, რომ მოწყობილობა ესაა აპარატი, რომელიც საგნის სკანირებას ახდენს და მის შესახებ მონაცემებს სხვა ადგილას ინტერნეტით გზავნის, სადაც ამ საგნის ასლი წარმოიქმნება. აპარატი აცალკევებს საგნებს ფენებად, რათა დეტალური ინფორმაცია მიიღოს მის შესახებ. მერე კომპიუტერული მოდელი იშიფრება და ფაილის სახით, ინტერნეტით გადაეცემა სხვა მანქანას, რომელიც 3D-პრინტერის დახმარებით საგნის ზუსტ ასლს ქმნის. მარტივად რომ ვთქვათ, საგნის „ტელეპორტირებსთვის" საკმარისია ის მოათავსოთ აპარატში, მიუთითოთ მიმღების ელექტრონული მისამართი და გააგზავნოთ. თუმცა, არსებობს რამდენიმე შეზღუდვა ტელეპორტის მუშაობაზე. ასე, აპარატი ამოიცნობს მხოლოდ შავი ფერის ობიექტებს, წვრილი დეტალები კი, გაციფრულებისას და გადაგზავნისას შესაძლოა დაიკარგოს. გერმანელი მეცნიერები უკვე შეუდგნენ ტელეპორტის დახვეწაზე მუშაობას.



მანქანას ღამის გასათევად აქირავებს

აშშ-ში, ქალაქ ფენიქსში მცხოვრები პროფესიონალი მძღოლი საკუთარ მანქანას Tesla ღამის გასათევად აქირავებს, მომსახურებაში კი 85 დოლარს ითხოვს. უჩვეულო განცხადება აპარტამენტების გაქირავების ცნობილ საიტზე გამოქვეყნდა. მძღოლმა სტიემა გადაწყვიტა, ღამით მანქანა უსაქმოდ არ ედგეს, სჯობს, ამ დროსაც შემოსავალი მოუტანოს. მან სალონში ღამის გასათევი მოაწყო. ამავდროულად, მანქანა საიმედოდ ჩაკეტილი იქნება ავტოფარეხში, რათა ვერავინ შეძლოს ამ „ბორბლებიანი მოტელიდან" თანხის გადაუხდელად გაპარვა. მომსახურების საფასურში შედის გასაბერი მატრასის გაბერვა და თეთრეული. აკრძალულია მოწევა და შინაური ცხოველების შეყვანა. ელექტრომობილის მფლობელი კლიენტებს აფრთხილებს, რომ Tesla მისი პირადი სატრანსპორტო საშუალებაა, ამის გამო დამქირავებელმა დილის 8 საათზე ის უკვე უნდა გათავისუფლოს, პატრონმა რომ სამსახურში წასვლა შეძლოს.

ᲡᲣᲓᲝᲙᲣ ᲨᲔᲓᲒᲘᲡᲐ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

	2			7		1	8	
3		8		4		9		
			3					
2	1	3	8					4
6					2	8	9	7
					4			
		5		1		7		9
	3	2		5			1	

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

	5							
	1	9			7			
			4					1
6	3		5		4	7		
		5				6		
		7	1		9		3	2
7					1			
			2			1	5	
							6	

ᲠᲗᲣᲚᲘ

9	5	7						
		2	7					3
6	4		5		8		2	
8			3	7	1			
			8	6	5			2
	9		6		4		3	8
4					3	2		
						1	5	4

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

	3	2				6		
	1		8					5
7					9	3		
		6		1	8			
			4		7			
			5	9		4		
		3	1					4
1					6		2	
		5				8	6	

ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲨᲔᲧᲕᲐᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲩᲣᲥᲠᲔᲑᲡ ᲧᲘᲓᲘᲐᲜ

ერთმა ამერიკელმა ქალბატონმა ინტერნეტ-საიტი გახსნა, რომელიც ყოფილი შეყვარებულების მიერ ნაჩუქარი ნივთების გაყიდვაზეა სპეციალიზებული. ამერიკელმა თავის პროექტს საკმაოდ უჩვეულო სახელი უწოდა — „ის მაინც არასდროს მომწონდა“. საიტზე ნებისმიერ მანდილოსანს შეუძლია გასაყიდად გაიტანოს ყოფილი პარტნიორის მიერ ნაჩუქარი საიუველირო ნივთები, სატა-მაშოები, საქორწინო კაბები და სხვა ნებისმიერი რამ. თავად საიტის ავტორი აცხადებს, რომ მისი მიზანია, ქალებს დაეხმაროს მძიმე განცდებისგან თავის დაღწევაში, რაც ყოველთვის მოგონებებს უკავშირდება. საამისოდ კი საჭიროა თავიდან მოიშორონ ის ნივთები, რაც წარსულ სიყვარულს ახსენებთ. სხვატა შორის, საიტზე გასაყიდად გატანილი ნივთების ფასი გაცილებით დაბალი და მისაღებია, ვიდრე ის მაღაზიაში ღირს.

ᲕᲘᲜ ᲮᲔᲓᲐᲕᲡ ᲡᲘᲖᲛᲠᲔᲑᲡ?

სიზმრებს მხოლოდ ჭკვიანი ადამიანები ხედავენ, — ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ამერიკელი მეცნიერები, რომლებიც სიზმრების შესწავლით არიან დაკავებულნი. სწავლულებმა შესაბამისი გამოკვლევა 2 ათასამდე მოხალისეზე ჩაატარეს. გამოკითხულთა უმრავლესობამ განაცხადა, რომ ვერ ხედავენ ან არ ვერ იმახსოვრებენ ნანახ სიზმარს. მხოლოდ იმ ადამიანებმა, რომელთაც წარმატებით დაძლიეს ინტელექტუალური ტესტები, დამაჯერებლად განაცხადეს, რომ სიზმრებს გამუდმებით ხედავენ. ამასთან, ადამიანი რაც უფრო ინტელექტუალია, თურმე, მით მკვეთრ და ფერად სიზმრებს ხედავს. ისე, განსაკუთრებული ამ აღმოჩენაში არაფერია, რადგან სიზმარში ტვინი აანალიზებს მთელი დღის განმავლობაში მიღებულ ინფორმაციას და უამრავ საკითხს წყვეტს. თუ ადამიანი არ არის ინტელექტუალურად განვითარებული, არ ისწრაფვის რაიმე პრობლემის გადაჭრისკენ, არაფერი აინტერესებს გარდა ჩვეულებრივი, ყოველდღიური საქმეებისა, შესაბამისად, ძალიან იშვიათად ხედავს სიზმრებს, რადგან ძილის დროს მისი ტვინიც იძინებს.

თუთიყუშს კარგ მანერებს ასწავლიან

ნისლიან ალბიონზე, ქალაქ ბირმინჰემის ეგზოტიკური ფრინველებისა და ცხოველების ცენტრში ცოტა ხნის წინ დაბინავებულ ფრინველს აიძულებენ, კარგი მანერების კურსები გაიროს. თუთიყუშთან მეცადინეობა აუცილებელი მას შემდეგ გახდა, რაც ცენტრის თანამშრომლებმა მოისმინეს, მოლაპარაკე ფრინველი როგორ იძახდა უზრდელურ სიტყვებს და იგინებოდა. თუთიყუში, სახელად მისტერ ტი, პატრონებს ჩამოართვეს და ასე მოხვდა ზოოლოგიურ თავშესაფარში. აქ საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე უნდა გამხდარიყო, რომლის ფარგლებშიც ბავშვებსა და მოზარდებს ცხოველებსა და ფრინველებს აცნობენ გარემოს უკეთ შესწავლის მიზნით. თუმცა, მისტერ ტის ამ პროგრამაში ჩართვა შეუძლებელი გახდა, რადგან ვულგარული სიტყვებისა და გამოთქმების ნაცვლად, ჯერ კარგი მანერები და ლაპარაკი უნდა აითვისოს.

ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲒᲐᲡᲣᲚᲘ ᲡᲙᲐᲜᲕᲝᲠᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲣᲓᲝᲙᲣᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

8	9	1	3	5	6	7	4	2
5	2	7	4	8	1	3	9	6
6	3	4	9	7	2	5	1	8
4	5	3	1	2	9	6	8	7
2	8	9	7	6	5	1	3	4
1	7	6	8	4	3	2	5	9
3	1	2	6	9	8	4	7	5
7	6	8	5	3	4	9	2	1
9	4	5	2	1	7	8	6	3

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

3	6	2	1	8	9	7	5	4
1	5	9	7	2	4	3	8	6
7	8	4	6	5	3	2	1	9
4	2	6	3	1	8	5	9	7
9	3	8	5	7	2	4	6	1
5	7	1	4	9	6	8	3	2
8	1	3	2	6	7	9	4	5
6	9	7	8	4	5	1	2	3
2	4	5	9	3	1	6	7	8

ᲠᲗᲣᲚᲘ

6	7	1	5	4	9	3	2	8
9	5	3	2	1	8	7	6	4
4	2	8	7	6	3	5	1	9
2	3	4	6	8	7	1	9	5
7	1	9	4	2	5	8	3	6
8	6	5	3	9	1	2	4	7
3	9	7	1	5	4	6	8	2
5	8	6	9	3	2	4	7	1
1	4	2	8	7	6	9	5	3

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

9	3	4	2	1	8	7	6	5
7	2	1	9	5	6	4	3	8
8	6	5	4	7	3	2	1	9
6	4	3	7	2	5	8	9	1
5	9	8	6	4	1	3	2	7
1	7	2	3	8	9	6	5	4
4	1	9	8	6	2	5	7	3
2	5	7	1	3	4	9	8	6
3	8	6	5	9	7	1	4	2

მე-11 გვერდი: 1. ხერხემალი; 2. არაქისი; 3. ხეჭეჭური; 4. რაჭა; 5. ეტნა; 6. რუზველტი; 7. ქამელეონი; 8. სორო; 9. აჭი; 10. იდალგო; 11. ნაჭუჭი; 12. ზუმერი; 13. ელა; 14. ამბრაზურა; 15. ნია; 16. ბაასი; 17. მტლე; 18. პრაია; 19. ეოლე; 20. ნანდუ; 21. ავგია; 22. დამბაჩა; 23. ტროა; 24. გნუ; 25. ალოე; 26. ესკალატორი; 27. აფრა; 28. ოსკარ უაილდი; 29. არგო; 30. სოფა; 31. რამაზი; 32. გორა; 33. ურა; 34. ბარკაროლა; 35. როი; 36. სილა; 37. ნაურუ; 38. კამა; 39. ტაიგა; 40. ინა; 41. ჩვილი; 42. ანკლავი; 43. კაკაო; 44. კოალა; 45. რეზერვაცია; 46. ვანგა; 47. კიი; 48. ხაკი; 49. მანე; 50. ეტალონი; 51. ილფი; 52. დუნაი; 53. ბეგარა; 54. აბი; 55. „მეტალიკა“; 56. აბზაცი; 57. თოლიგე; 58. ფალია; 59. ბენიტო; 60. ზვარი; 61. ციტატა; 62. კატო; 63. აია; 64. ალდონსა; 65. ფარი; 66. ამინ; 67. ათი; 68. ნარდი; 69. დაიმი; 70. ავდარი; 71. ახო; 72. ელია; 73. ლატე; 74. მოა; 75. ტატამი; 76. ალაფი; 77. მამონტი; 78. მიიო; 79. თამადა; 80. ტიარა; 81. თია; 82. ფისი; 83. თხა; 84. ხოტა; 85. რიგა; 86. ენი.

ᲩᲐᲘᲚᲐᲜᲓᲔᲚᲗᲐ ᲛᲘᲪᲕᲐᲚᲔᲑᲣᲚᲖᲔ ᲘᲥᲝᲠᲬᲘᲜᲐ

ტაილანდის მცხოვრებმა მამაკაცმა ცოლად გარდაცვლილი მეგობარი გოგონა მოიყვანა, რომელიც საავტომობილო კატასტროფაში დაიღუპა იანვრის დასაწყისში. სპეციალურად ქორწილისთვის გოგონას გვამს საპატარძლო კაბა, ფატა, ხელთათმანები და წინდები ჩააცვეს. ადგილობრივი პრესა წერს, რომ სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე მან შეყვარებულს დაქორწინება შესთავაზა, მაგრამ მან ქორწილის გადადება სთხოვა. ცოტა ხანში ტრაგედია დატრიალდა, საქმრომ კი გადაწყვიტა, ქორწინების ცერემონია მოეწყო და ამ გზით გოგონას ოცნება აესრულებინა. გარდა სიძისა და მკვდარი პატარძლისა, ქორწილს მათი ახლობლები და სპეციალურად მიწვეული მომღერლები და მსახიობები ეწსრებოდნენ. ამ უჩვეულო სამგლოვიარო ქორწილის ცერემონიიდან რეპორტაჟი ტაილანდის ტელევიზიამ უჩვენა, „ლავ სთორიმ“ კი საზოგადოებაში დიდი რეზონანსი გამოიწვია. ზოგმა გაკიცხა მამაკაცი, ზოგმაც მისი ნაბიჯი კეთილშობილებად შეაფასა. ითვლება თუ არა ეს ქორწინება ოფიციალურად რეგისტრირებულად თუ ის მხოლოდ თეატრალიზებული წარმოდგენა იყო, დაზუსტებული არ არის.



1. იგივეა, რაც კოცნა
2.ბელურას მსგავსი მგალობელი ფრინველი
3. უნივერსიტეტით განთქ. ქალაქი ინგლისში
4. მიწისქვეშეთის ერთ-ერთი მდინარე ბერძნ. მით.
5. ძველი ეგვიპტის ერთ-ერთი ფარაონი
6.წინადადების ერთ-ერთი მთავარი წევრი
7. ყალმუხეთის დედაქალაქი
8.გვერდითი ხაზის მსაჯი ფეხბურთში
9. სპორტული ცურვის ხერხი
10.მშვიდობის სიმბოლოდ მიჩნეული ფრინველი
11.თბილისის „დინამოს“ ლეგენდარული კაპიტანი
12. დიდი ვოკალურ ინსტრუმენტული ნაწარმოები
13. ზურიკელა გაშალომიძის ბებია
14. სკანდინავიელთა უზენაესი ღმერთი
15. ცისარტყელას ქალღმერთი
16.მიმართვა გერმანელი ქალბატონისადმი
17.დედამიწის ატმოსფეროს შემად. გაზების ნარევი
18. ბრმადმორწმუნეობა
19. სიმინდის ყვავილედი
20. „პერიოდულობა“ ბეისბოლის თამაშში
21. სამი მუსიკოსისგან შედგენილი ანსამბლი
22.შხამიანი გველი
23ჭეშმარიტ. ქალღმ. ძვ. ეგვპტ.
24. ინდონეზიის კუნძული
25. მზის ქალღმერთი იაპონელთა მითოლოგიაში
26. იესო ქრისტეს ნათლია
27. პარიზის ერთ-ერთი სიმბოლო
28. ჰოლივუდის ლეგენდა მერილინ ...
29. რუსი საბჭოთა კომპოზიტორი
30. მუხის ნაყოფი
31. გესტაპოს „შეფი“
32. აშშ-ის ტელეპრემია
33. შიშველი სხეული მხატვრობაში
34. არაბული ფლეიტა
35. იაპონური სპორტული ორთაბრძოლა
36. ხელოვნური აბრეშუმი
37. შავკანიანი ადამიანი
38. ჰოლივუდის მსახიობი ... რაიანი
39.თეფშის ფორმის სარტყმელი მუსიკ. საკრავი
40. მოლდავეთის ეროვნული ვალუტა
41. მოძველებული კანონის გაუქმება
42. დანიის ადმინისტრ. ტერიტორიული ერთეული
43. მუსიკალური გამის IV ნოტი
44. ტიბეტური ხარი
45. ტრაგედიის საპირისპირო ჟანრი
46. თბილისის ერთ-ერთი უბანი
47.ცვილის ფიგურების მუზეუმის დამაარსებელი
48. ირლანდია - ირლანდიურად
49.არწივის თანავარსკვლავედის ვარსკვლავი
50. ხელით გადასატანი რადიოსადგური
51. ცხვრების ჯოგი
52. საფქვილე ყუთი წისქვილში
53.კათოლიკ. ეკლესიის მღვდელი საფრანგეთში
54. ბიბლიური ნოეს ვაჟი
55. ნაყინშერეული რძიანი ყავა
56. ჰიდროტექნიკური ნაგებობა
57.მომცრო იალქნიანი გემი ხმელთაშუა ზღვაში
58.თოვლის დედოფლის ტყვე ბიჭუნა
59. სატყორცნი იარაღი მძლეოსნობაში
60. სოფელი ონის რაიონში
61. მარადმწვ. ბუჩქი თეთრი სურნელოვანი ყვავილებით
62.ღამის ფრინველი
63. მე-7 ნოტი
64.სოფელი ოჩამჩირის რაიონში
65. ვირის გასარეკი შეძახილი
66. სინათლე ბავშვის ენაზე
67. ძველი ფრანგული ხურდა ფული
68.ინდოელი ქალის ეროვნული სამოსი
69. ჭადრაკის ფიგურა
70. დე ფაქტო და დე ...
71. ქალაქი რუმინეთში
72. ძაფისებური წანაზარდი ადამიანის თავზე
73. მიწის ნაკვეთი, საიდაც ხეხილია დარგული
74. ცხენის კუ-დის ბეწვი
75. კოლხეთის ანტიკური სახელწოდება
76. მაუგლის მეგობარი პითონი
77.სანკტ-პეტერბურგის მუზეუმი
78. ... სარჩიმელია „დათა თუთაშხიაში“
79. მიმართვა ფრანგი მამაცისადმი
80. ჭაობის მცენარე
81. იგივეა, რაც სასულე
82. (ძვ.) ტყავის გამომყვანი ხელოსანი
83.მსახიობის მიერ განსახიერებული სახე
84. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში
85. ინგლისური როკ-ჯგუფის, „პინკ ფლოიდის“ წევრი რიჩარდ ...
86. თავისუფალი ფორმის ნარკვევი
87.მუსლიმანთა სასულიერო მსაჯული, მოსამართლე
88. დაბალი და გამხდარი ტანის კაცი

ბებია Facebook-ის გამო სცემა

აშშ-ში, ქალაქ კლირუოტერში სამართალდამცავებმა ახალგაზრდა ქალი დააკავეს, რომელიც ბებიას მხოლოდ იმის გამო ეჩხუბა, რომ არ სურდა სოციალურ ქსელში შვილიშვილის „მეგობრებში“ დამატება. პოლიციის მონაცემებით, 27 წლის რეიჩელ ჰეიზი მას შემდეგ დააკავეს, რაც ბებიამ უჩივლა. მან სამართალდამცავებს განუცხადა, რომ შვილიშვილმა სახეში რამდენჯერმე მხოლოდ იმის გამო გაარტყა, რომ Facebook-ში მისი მოთხოვნა მეგობრებში დამატებაზე არ დააკმაყოფილა. პოლიციამ გოგონა ოჯახური ძალადობის ბრალდებით დააკავა და ციხეში გადაიყვანა. რა სასჯელს დაეკისრებს სასამართლო, ჯერჯერობით უცნობია.

ᲕᲔᲠᲡᲘᲐ

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
გიორგი იაშვილი, მერაბ ბერიძე.
სტილისტი – ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.